ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფალი საქართველო

მრგვალი მაგიდის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

10 V 1991

№ 16 (21)

ვერ შეიტყუა იგი საშუეძელმან ამის საწუთროსამან, არცა მეფობამან გვირგვინისამან და სკიპტრამან, არცა ქვათა პატიოსანთა უხუად ქონებამან, არცა სპათა სიმრავლემან და ესოდენ სიმხნემან, რომელი სიტყუამან ცხადყოს. არა მიდრეკა, ვერცა წარიპარა სიმდიდრემან, ვითარ ძეულ-ოდსმე მეფენი მრავალნი და უმეტეს ამის სანატრელისა მამა, ყოველთა ბრძენთა უპირატესი და უმეტჱსი სოლომონ. ესრე უბრძანე იქმნა ბრძენისა მის, რომელ ესოდენ შეიყუარა ღმერთი იგი და უცხო ექმნა საცთურთა სოფლისათა. ამან ისმინა ხმა იგი უტყუელისა პირისა და შეიტკბო იგი, რამეთუ ღამეყოველ მძღვიძარება, ლოცვა, მუხლთ-დრეკა და ცრემლით ვედრება ღმრთისა ზემდგომრობითა განსაკვირვებელი აქუნდა, და ღამე ყო ხელსაქმარი, რომელი გლახაკთა მიეცემოდა. ერთი ოდენ ვახსენოთ.

*ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი.*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თამარი, მითიური დედოფალი

## *Thamar, reine mythique*

oire, un
erre de
re, sans
lloux de
, de ses
surtout
ythique
é que le
édition
on mal-
cruelle

hislaine
ient des
endre la
ndépen-
pays à
dixième
se situe
I et sur-
Thamar
rise de
ation de
Caucase,
'est pas
aires de
rons au
a vie de
tianisme



JEAN-LOUP CHARMET

**La reine Thamar.**
**Gravure de P. Fritel (XIXe siècle) d'après un tableau du XIIe siècle.**

La lé
dissoci
Rousta
reine, a
son fan
*léopard*
littérat
sède u
cœur d
d'un tit
héroïqu
l'amour
sion le
société
serait à

Les i
mirent
Consta
Géorgie
l'enjeu
d'être a

L'hor
drainer
Radio-F
pour ai
aspirati
pendanc

იყო და არა იყო რა, იყო კავკასია და შავ ზღვას შორის ლეგენდებისაგან დალოცვილი ქვეყანა კოლხეთი. ეს იყო ლეგენდების მხარე, დასახლებული წინაისტორიული ხანიდან, რომელსაც მეზობლები განუწყვეტლივ ესხმოდნენ თავს ან იპყრობდნენ. მათი შურის საგანი იყო ამ ქვეყნის ნაყოფიერი მიწები, ხეხილის ბაღები, ვენახი, თევზებით სავსე წყლები და განსაკუთრებით კი ლამაზი ქალები, ანტიკურ სამყაროში ამ ქვეყნის მითიური მემკვიდრეობა იმდენად ცნობილი იყო, რომ პოეტმა აპოლონ როდოსელმა ის მოათავსა იასონის ექსპედიციაში. იასონი თავისდასაუბედუროდ გაეშურა სასტიკი მედეას ტახტ-რებით ოქროს საწმისის მოსაპოვებლად.

ქურთების შესახებ თავისი შესანიშნავი სერიალის შემდეგ ქისლენ მატიე, რომელიც განაგრძობს „მთიანი აღმოსავლეთის" კვლევას, საქართველოს დამოუკიდებლობის რეფერენდუმის წინა დღეს ამ ქვეყნის უკეთ გასაცნობად გვთავაზობს საქართველოს ისტორიის იმ მონაკვეთს, როდესაც ამ ქვეყნის ძლიერებამ მწვერვალს მიაღწია. საქართველოს ოქროს ხანა დაიწყო X საუკუნეში, გაგრძელდა გიორგი III-ის მეფობისას და განსაკუთრებულ აღმავლობას მისი ქალიშვილის, დედოფალ თამარის მეფობის ხანაში (1184-1213) მიაღწია. თამარ მეფემ ხელი შეუწყო, კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ, ტრაპიზონის სამეფოს დაარსებას, შემდეგ დაიპყრო კავკასია, აზერბაიჯანის ირანული ნაწილი და სომხეთი. ხუთი გადაცემის განმავლობაში გავეცნობით არა მხოლოდ მითიური დედოფლის სამხედრო წარმატებებს, არამედ ამ ქალის ცხოვრებას ქვეყანაში, სადაც ზეიმობს შემწყნარებლური ქრისტიანობა და რომელიც კულტურული ტრადიციებით ბიზანტიასთანაა დაახლოებული.

გადმოცემის მიხედვით, ხშირად კი ძნელია, გამიჯნო ერთმანეთისაგან ლეგენდა და ისტორია, პოეტ შოთა რუსთაველს უიმედოდ შეუყვარდა დედოფალი. მან თამარს ქება შეასხა თავისი შესანიშნავი ეპიკური პოემის „ვეფხისტყაოსანის" პროლოგში. ეს არის ქართული ლიტერატურის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომელიც მრავალმხრივაა საინტერესო. ყველა ქართველს აქვს შინ მისი ერთი ეგზემპლარი და ბევრმა მათგანმა ზეპირად იცის გრძელი პასაჟები. ეს ნაწარმოები მოვალეობის გრძნობით და სიყვარულით არის გამსჭვალული. ორი სამეფო წყვილის საგმირო საქმეების ფონზე, დაწვრილებით ასახავს ფეოდალური საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებას. ხოლო ლინგვისტურ დონეზე ის ალბათ თანამედროვე ქართული ენის საფუძველს წარმოადგენს.

1220 წლიდან მოყოლებული მონღოლების შემოსევამ ბოლო მოუღო ამ ბედნიერ პერიოდს და 1453 წელს კონსტანტინოპოლის დაცემამ მთლიანად მოსწყვიტა საქართველო ქრისტიანულ სამყაროს. საქართველო გახდა თურქებსა და სპარსელებს შორის მრავალრიცხოვანი ბრძოლების ასპარეზი, ხოლო 1801 წელს ანექსირებულ იქნა რუსეთის მიერ.

ვოცნებობთ საფრანგეთის რადიომ მოაწყოს ამ ტიპის გადაცემა, რათა დაგვეხმაროს უკეთ გავიცნოთ ამ ქვეყნის დღევანდელი მისწრაფებები დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე.

**არმელ კრესარი**

**მინაწერი ფოტოზე:** დედოფალი თამარი, / ფრიტელის გრავიურა (XIX ს.) შესრულებული XII ს-ის ნახატიდან.

**„მონდი" 17-18 მარტი 1991 წ. ნომრის დამატება.**

# ზვიად გამსახურდიას სურს საქართველოს თავისუფლება

# სუკ-ის საკნიდან ქვეყნის პრეზიდენტის სავარძლამდე

**ზვიად გამსახურდია**, რომელიც კვირას თბილისში პარლამენტმა ერთხმად აირჩია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად, ითვლება კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობის გამკვალავად. ხუთი თვის წინ, საბჭოთა რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევამდე მან ნათლად გამოთქვა სურვილი დამოუკიდებლობისა.

„ჩვენ ეს პარლამენტი უნდა გამოვიყენოთ, ჩვენი სუვერენიტეტის აღსადგენად", თქვა მან უზენაესი საბჭოს არჩევნების წინა საღამოს.

არჩევნების შედეგად ხმების უმრავლესობა მრგვალი მაგიდის ოპოზიციურმა ბლოკმა მიიღო. მას შემდეგ, რაც 31 მარტს მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტმა ხმა მისცა სსრკ-დან გამოყოფას, გამსახურდიამ საშაბათს გამოაცხადა დამოუკიდებლობის აღდგენა.

გამსახურდიამ გადასახლებაში, ფსიქიატრიულში, ციხეში და საბჭოთა საიდუმლო პოლიციის სუკ-ის ციხეებში საბოლოო ჯამში 3 წელი გაატარა. მას შემდეგ რაც მან ოფიციალურად მოინანია, იგი გაანთავისუფლეს. მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები ამის გამო მას კომუნისტურ რეჟიმთან კოლაბორაციონალიზმში დებდნენ ბრალს. რაზეც იგი აცხადებდა, რომ ეს მოხდა თავის თანამებრძოლ მერაბ კოსტავასთან შეთანხმებით, რათა შეძლებოდა, ციხის კედლებს გარეთ წარმატებით გაეგრძელებინა ბრძოლა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ. 1989 წელს დაუდგენელ ვითარებაში დაიღუპა მერაბ კოსტავა. ამის შემდეგ გამსახურდია დარჩა თავისუფალი საქართველოს სიმბოლოდ.

ფაქიზი სულის პოეტი და შექსპირის მთარგმნელი არის რკინის ნების პოლიტიკოსი. მოწინააღმდეგეებს მწვავედ აკრიტიკებს და უწოდებს „კომუნისტურ მაფიას" და „ტერორისტებს".

სწორედ სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით, რომელიც თავის მხრივ ესწრაფვის საქართველოდან გამოყოფას, გამოიჩინა სიმტკიცე: გააუქმა მათი ოლქის დამოუკიდებლობა. გასულ კვირას, როცა გამსახურდიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მან მაინც მისცა საშუალება ეროვნულ უმცირესობებს, თვითონ გადაწყვიტონ თავისი მომავალი.

**მცირე შემოკლებით გადმობეჭდილია ჟურნალიდან „ბერლინერ მორგენპოსტ".**

**აპრილი, 1991 წ.**

# დაგვიანებული განცხადების თაობაზე

**გვესაუბრებიან საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირის მთავარი კომიტეტის წევრები**

**— 8 მაისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირის მთავარი კომიტეტის განცხადება, რომელიც მიღებული იყო გასული წლის 7 სექტემბერს. რა იყო მიზეზი იმისა, რომ განცხადება გამოქვეყნდა დაგვიანებით?**

**ბ-ნი ა. ქობულაშვილი** — ძირითადი მიზეზი ამისა თვით განცხადებაშია მოყვანილი. კერძოდ, მთავარმა კომიტეტმა იმ დროს ჩათვალა, რომ მოახლოებული არჩევნების დროს, იგულისხმება 1990 წლის 28 ოქტომბერი, ეს განცხადება შეიძლება ჩათვლილიყო არჩევნებში მონაწილე საქართველოს სახალხო ფრონტის დისკრედიტაციის მცდელობად, ჩვენ კი არჩევნებში ძირითად მოწინააღმდეგედ კომუნისტური პარტია გვესახებოდა. გარდა ამისა, მიგვაჩნდა, რომ სსფ-ში დარჩენილი ეროვნული მოძრაობის ჯანსაღ ნაწილს, განსაკუთრებით საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, მოსახლეობა რეალურად უჭერდა მხარს და თუ სსფ-ში სიტუაცია არ შეიცვლებოდა, მათი წარმომადგენლები არჩევნების დასრულების შემდეგ ორგანიზებულად გადმოვიდოდნენ მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციების პოზიციაზე.

მიგვაჩნია, რომ ჩვენი მაშინდელი გადაწყვეტილება სავსებით გამართლდა — სსფ-ს რიგები უკვე ოქტომბერ-ნოემბერში დატოვა იმერეთის, აჭარის, კახეთის და თბილისის უმთავრესმა რეგიონულმა ორგანიზაციებმა.

**— თქვენ ბრძანეთ — „თუ არ შეიცვლებოდა სიტუაცია სსფ-ში", რას გულისხმობთ ამით და როგორ აფასებთ სსფ-ს დღევანდელ პოზიციას?**

**ბ-ნი ა. კობაძე** — 1990 წლის 25 მარტის არჩევნების წინა პერიოდში, თვალშისაცემი გახდა კომუნისტური მაფიური ელემენტების დაინტერესება სახალხო ფრონტით; კერძოდ, ისინი ცდილობდნენ გამოეყენებინათ ეს ორგანიზაცია, როგორც ოპოზიციური და მისი საშუალებით გასულიყვნენ პარლამენტში. ამიტომ ისინი ცდილობდნენ გაწევრიანებულიყვნენ და დაეკავებინათ სსფ-ს ძირითადი საკვანძო ადგილები, რომლებიც მათ მისცემდათ საშუალებას დასახელებულიყვნენ დეპუტატობის კანდიდატებად. სამწუხაროდ, ამას კიდეც ახერხებდნენ სსფ-ს ხელმძღვანელობის, რბილად რომ ვთქვათ, წაყრუების შედეგად. ამის დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიხმოთ 1990 წლის 25 მარტის არჩევნებში სსფ-ს მიერ წარდგენილი დეპუტატობის კანდიდატთა სია.

გარდა ამისა, სსფ-ს ოფიციალური პოლიტიკური პოზიცია ყოველთვის რჩებოდა ბუნდოვანი და გაურკვეველი, „კარტის გაუხსნელი", რაც რეალურად მმართველი პარტოკრატიის წისქვილზე ასხამდა წყალს. გადავხედოთ განვლილ პერიოდს — სსფ არც ერთი პოლიტიკური განცხადების, მით უმეტეს, აქციის ინიციატორი არ ყოფილა.

ძირითადად ამგვარი სსფ-ს წინააღმდეგ გამოდიოდნენ იმთავითვე მის რიგებში არსებული ძალები, კერძოდ, რადიკალური ფრაქცია და ეროვნულ-ლიბერალური კავშირი, რომელთა ინიციატივით სსფ-ს მე-2 ყრილობაზე კატეგორიულად დაისვა საკითხი მისი ორგანიზაციული და პოლიტიკური გარდასახვის თაობაზე, რასაც სსფ-ს ხელმძღვანელობის მძაფრი, არადემოკრატიული ფორმით გამოხატული წინააღმდეგობა მოჰყვა.

ყრილობის პერიოდში ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ დელეგატთა დიდი უმრავლესობა რეალურად იმ ხანებში შექმნილი „მრგვალი მაგიდის" პოზიციაზე იდგა, რაც დადასტურდა კიდეც არჩეული დარბაზის შემადგენლობით, მაგრამ ახლად არჩეული დარბაზის მუშაობა ჩიხში მოექცა სსფ-ს თავმჯდომარის და გარკვეული წრეების უაღრესად არადემოკრატიული ქმედების და წინასწარ აკვიატებული მოსაზრებების გამო. სსფ-ს თავმჯდომარეს აშკარად არ აძლევდა ხელს რადიკალურად განწყობილი სსფ-ს დარბაზის არსებობა, რომელიც მომავალში აუცილებლად აიძულებდა მას „მრგვალი მაგიდის" პოლიტიკურ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირის დამყარებას. სწორედ ამ პერიოდში საქართველოში გაიშალა საპროტესტო მოძრაობა მაშინდელი უზენაესი საბჭოს წინააღმდეგ, დემოკრატიული საარჩევნო კანონის მიღებასთან დაკავშირებით. ამ სერიოზული ბრძოლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო „სამტრედიის აქცია", რომელსაც აშკარად არ დაუჭირა მხარი სსფ-ს თავმჯდომარემ ბატონმა ნ. ნათაძემ, იგი არ დაუპირისპირდა საქართველოს იმდროინდელ ხელმძღვანელობას. ვფიქრობ, ამას შორს გათვლილი პირადი მიზნები ედო საფუძვლად.

**ბ-ნი რ. ლონდაძე** — მიგვაჩნია, რომ სსფ-ს დღევანდელი პოზიცია მის მიერ განვლილი პოლიტიკური გზის ლოგიკური შედეგია. სსფ-ს თავმჯდომარე, როგორც ადრე, დღესაც ცდილობს მხარდაჭერა იქონიოს ჩვენი საზოგადოების კონფორმისტულ ნაწილში და ორიენტირებულია იმ ამომრჩეველთა ხმებზე, რომლებიც სხვა სიტუაციაში კომუნისტურ პარტიას მისცემდნენ ხმას.

დაბოლოს, დღეს როდესაც გადამწყვეტ ფაზაში შევიდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, რეალურად გამოიკვეთა რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი აღდგენის პერსპექტივა, ყოვლად გაუმართლებელია წარსულში ნახევრად არაფორმალური ორგანიზაციის პოლიტიკური პლატფორმის განხორციელების მცდელობა.

# სესიის ერთი ეპიზოდი

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის 27 აპრილის სხდომაზე დღის წესრიგის ერთ-ერთი საკითხი იყო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტისთვის ხელფასის განსაზღვრა. ჩვენის აზრით, მკითხველისთვის საინტერესო იქნება იმ კამათის შინაარსი, რაც ამ საკითხის განხილვას მოჰყვა.

გამოითქვა წინადადება, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ხელფასი განესაზღვროს 2000 მანეთის ოდენობით, რამაც ზოგიერთი დეპუტატის უკმაყოფილება გამოიწვია. მათი თქმით, სახელმწიფოს მეთაურის თვიური ხელფასი უნდა შეეფარდებოდეს იმ დიდ პასუხისმგებლობასა და მოვალეობას, რაც მას ეკისრება. ისიც ითქვა, რომ 2 და 3 ათასი მანეთი ლამის ყველა რიგითი კოოპერატორის თვიური შემოსავალია და ასეთ ვითარებაში სახელმწიფოსთვის ერთგვარად შეურაცხმყოფელიცაა მის პრეზიდენტს დაბალი ხელფასი დაენიშნოს — ხელფასი უნდა იყოს შედარებით მაღალი, 4-5 ათასი მანეთი, ხოლო თუ პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ეს თანხა მისთვის ზედმეტია, მას შეუძლია ყოველთვიურად სხვადასხვა ფონდებში ჩარიცხოს რამდენიმე ათასი მანეთი.

ამგვარ მოსაზრებებს საკუთარი არგუმენტაცია დაუპირისპირა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ.

— ბატონებო! როდესაც მე ვითხოვ მინიმალურ ხელფასს, ეს გამოწვეულია იმით, რომ რესპუბლიკას უჭირს. საქმე ის კი არ არის, რომ ვთქვათ, ის 3 ან 5 ათასი მანეთი, მართლაც ძალიან დააკლდება რესპუბლიკას, მაგრამ ეს მაგალითს აძლევს ხალხს, რათა არ გამოედევნონ და უმთავრეს მიზნად არ დაისახონ ხელფასის ზრდა. საჭიროა სხვა თანამდებობებზეც იყოს ტენდენცია ხელფასის მინიმალური დონის დაწესებისა. გარდა ამისა, ყველასათვის ცნობილია, მე ახლა უკვე აღარა მაქვს აკრძალული, როგორც უწინ, ლიტერატურული და სამეცნიერო პუბლიკაციები, მაქვს შემოსავალი და, ვფიქრობ, უხერხული იქნება, რომ უზარმაზარი ხელფასი მქონდეს და რაც მთავარია, კიდევ ვიმეორებ, ეს არ იქნება კარგი მაგალითის მიმცემი.

სესიამ დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თვიური ხელფასი 2000 მანეთის ოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# წამონაცდენი

ბოლოდროინდელ საგაზეთო ინტერვიუში გურამ პეტრიაშვილმა, თავისი სატელევიზიო საუბრების არაერთგვაროვანი შეფასების თვალსაზრისით, ასეთი შემთხვევა გაიხსენა:

„ჩემს ერთ-ერთ გამოსვლას ერთად ვუცქეროდით მე, ჩემი ძმა და მისი ამხანაგი.

დამთავრდა თუ არა გადაცემა, მაშინვე დაიწკრიალა ტელეფონმა.

ყურმილი ავიღე და იმავ წამს შემომიტია ქალის ხმამ:

— რასა ჰგავს ეს, მე საშინლად **აღფრთოვანებული** ვარ თქვენი გამოსვლითო.

— რაო, რა ბრძანეთ-მეთქი.

— რა ვბრძანე და **აღფრთოვანებული** ვარ, როგორ გამოგიშვეს ტელეეკრანზე, ვის რაში სჭირდება თქვენი ლექციებიო.

მე წყნარად ავუხსენი, ჩემი გამოსვლის მიზანი ის იყო, რომ კიდევ ერთხელ შემეხსენებინა ზოგიერთისათვის, თუ რამდენად მნიშვნელოვანი რამაა მშობლიური ენა. ბოლოს კი ვუთხარი, თქვენ ნამდვილად გჭირდებათ ლექცია ამ თემაზე, რადგან არ იცით, რომ ამ წუთას **აღფრთოვანებული** კი არა **აღშფოთებული** ხართ-მეთქი.

ფაქტია, უკვე იმ ტელემაყურებელმაც იცის, თუ რა განსხვავებაა აღფრთოვანებასა და აღშფოთებას შორის“.

ავტორისეული დასკვნა გვაფიქრებინებს — მისი ვარაუდით უხილავმა თანამოსაუბრემ არცოდნის გამო აურია ერთმანეთში სიტყვები: „აღფრთოვანებული“ და „აღშფოთებული“. მაგრამ იმდაგვარი დასკვნის გამოტანაც შეიძლება, რომ ვინც ასეთ რთულ სიტყვებს ფლობს ქართულ ენაზე, მან კარგადაც იცოდეს თითოეული მათგანის მნიშვნელობა. ამდენად, საფუძველს მოკლებული არ გახლავთ მოსაზრება, რომ იმ ქალს ის სიტყვა კი არ შეშლოდა, არამედ **წამოცდენოდა!**

ხოლო თუ რა განსხვავებაა **შეშლასა** და **წამოცდენას** შორის, ამას ნათელყოფს ფროიდის ფსიქოანალიტიკური თეორია, რომლის მიხედვითაც **წამონაცდენი** — ეს ეს არის ადამიანის **არაცნობიერის** სიღრმეებში დავანებული მისი ჭეშმარიტი ზრახვები და ქცევათა მოტივები.

ასე რომ, თუ ფსიქოანალიტიკურ თეორიას ვერწმუნებით, გურამ პეტრიაშვილს სულმთლად მისალოცად ჰქონია საქმე — მის სატელევიზიო გამოსვლას შინაგანად იმდენად შეუძრავს ადამიანი, რომ, როცა იგი აუგის ტონით ელაპარაკებოდა ტელეფონში, გულში უკვე საპირისპიროს ფიქრობდა ამ დროს; უკეთ, გულში ფიქრობდა კი არა, თვითონაც არ იცოდა, რომ ამ დროს შინაგანი მე ეწინააღმდეგებოდა ამ მე-ს გარეგან გამოხატულებას!

აი, რა ფარული ნიშნები იმალება წამონაცდენ სიტყვებში, რომლებსაც ისე შეუძლიათ გასცენ პიროვნების ნებითა თუ უნებლიედ შენიღბული განაზრახი, რომ ამის შესახებ თვითონაც არ ექნება წარმოდგენა! ზემოთმოყვანილი შემთხვევა, მაგალითად, თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, თუ როგორ გაუღვივა მწერლის საუბარმა ადამიანს მიძინებული ეროვნული თვითშეგნება.

და თუ იდუმალ მექანიზმთა მეოხებით შეგვიძლია ამოვიცნოთ ადამიანის შეფარული კეთილმოსურნეობა, ცხადია, იმავე საშუალებით შეიძლება გაცხადდეს მისი არაკეთილმოსურნეობაც.

დღეს, როცა ქართულ პრესაში მასობრივად ქვეყნდება ნევისპირელ დემოკრატთა აღიარებული ლიდერის, ანატოლი სობჩაკის, თანაგრძნობიერი და შედარებით ობიექტური დასკვნები 9 აპრილის გარემოებათა გამო, მეტი არ იქნება, გავიხსენოთ იმავე 1989 წელს ლენინგრადის ტელევიზიისათვის მიცემული მისი ერთ-ერთი ინტერვიუ, რომელიც საქართველოს ტელევიზიითაც იყო ნაჩვენები. გადაცემის ხასიათზე აქ არაფერს ვიტყვით. მხოლოდ სობჩაკისაგან წამოცდენილ ერთ სიტყვაზე გავამახვილებთ თქვენს ყურადღებას. როდესაც მას შეეკითხნენ 9 აპრილს თბილისში გამოტანილი ლოზუნგების ხასიათზე, მან სხვათა შორის ასეთი რამ თქვა: იყოო ლოზუნგები, სადაც ქართველები მოითხოვდნენ გასვლას из Советской Рос... из Советского Союза...

მას წამოცდა, უკეთ, კინაღამ **წამოცდა** „საბჭოთა რუსეთი“, რაც იქვე გაასწორა და „საბჭოთა კავშირად“ გადააკეთა. თუ ისევ დავემოწმებით ფროიდს, წამონაცდენმა ფრაზამ ამხილა სობჩაკი: მისთვის, ისევე, როგორც მისი მრავლის უმრავლესი თანამემამულესათვის „საბჭოთა კავშირი“ „საბჭოთა რუსეთის“ სინონიმია. აქედან, ცხადია, მთელი მისი დემოკრატიობანაცა და ჰუმანისტობანაც, მხოლოდ და მხოლოდ იმპერიული ინტერესების დაცვას ემსახურება.

და თუ **წამონაცდენს** შეუძლია თვით მეგობრის მანტიაში გახვეული ადამიანის მხილება, მით უფრო მას არაფრად უღირს შეუნიღბავი მტრის სააშკარაოზე გამოყვანა.

წლევანდელი წლის 18 თებერვალს სატელევიზიო გადაცემაში „სალამო მშვიდობისა“ მაყურებელთა წინაშე წარსდგა ოსური სეპარატიზმის ბელადი ტორეზ კულუმბეგოვი, რომელმაც ქართველი ხალხის მიმართ წაყენებული ბრალდების რიცხვში, სხვათა შორის, ისიც დაასახელა, რომ ქართველები წინააღმდეგნი არ იქნებოდნენ, თუკი ოსები: «Перебрались бы на Северный Кавказ, где и наход... где вроде бы находится их родина“.

ტორეზ კულუმბეგოვს ის იყო **წამოცდა**, ჩრდილოეთ კავკასიაშიაო ოსების სამშობლო („где и наход...“) რომ უმალ ენაზე იკბინა, სიტყვა შუაზე გაწყვიტა და ისევ ქართველებს აჰკიდა ცოდვა: „вроде бы“-ო სასწრაფოდ ჩაუმატა.

მაგრამ სიტყვა ხომ ჩიტი არ არის — გაფრინდება და ველარ დაიჭერ. ამ გაფრენილმა **წამონაცდენმა** სიტყვამ ოსისავე პირით აღიარა სიმართლე, თორემ ჩვენ ხომ ისედაც ვიცით, სადაც არის ოსების ნამდვილი სამშობლო. არადა, რა კარგი იქნებოდა, **წამონაცდენს** რიგ შემთხვევებში მაინც ჰქონოდა იურიდიული სამხილის მნიშვნელობა. იქნებ მაშინ უკეთ დაენახა მსოფლიოს, თვით ოსების მიერ ნდობის მანდატით აღჭურვილი პიროვნებისაგან როგორ დასტურდება, რომ სწორედ ჩრდილოეთ კავკასიაშია მათი სამშობლო!

**ნუგზარ ბეზარაშვილი.**
**ზურაბ ქუთათელაძე.**

## გაზეთ „თავისუფალი საქართველოს“ რედაქციას

ა/კ რკ. გზის პროფ. ნ. ს. კახიანის სახ. საგზაო კლ. საავადმყოფოს თანამშრომლები, ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე, პოლიტიკურ ბლოკ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“-ს სპიკერის, ბატონ ზვიად გამსახურდიას კანდიდატურას, ვინაიდან ვთვლით, რომ იგი ყველაზე მეტად იმსახურებს ამ უაღრესად საპატიო და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არჩევას.

ამ ძნელბედობის ჟამს მისი რეალური და რამდენადმე სერიოზული ალტერნატივა უბრალოდ არ არსებობს. და თუ რა დამსახურება მიუძღვის ბატონ ზვიადს ჩვენი სამშობლოს წინაშე, ამის შეხსენება და ჩამოთვლაც კი ცოტა არ იყოს უხერხულად და ქართველი ერის შეურაცხყოფადაც კი მიგვაჩნია.

**განცხადება მიღებულია საავადმყოფოს თანამშრომელთა საერთო კრებაზე**

8 მაისი 1991 წ.

**პრობლემა**

# აღვადგინოთ ძეგლები რესტავრაციის ტექნოლოგიის სრული დაცვით

**წინამდებარე** წერილი წარმოადგენს რესტავრატორ-ტექნოლოგის ცდას სწორად წარმართოს იმ პირთა თუ ორგანიზაციათა საქმიანობა, რომლებმაც ამ ბოლო დროს საკუთარი ნება-სურვილით იკისრეს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა რესტავრაცია-კონსერვაციის პრესტიჟული, მაგრამ ამავე დროს უაღრესად პასუხსაგები საქმე.

ისტორიისა და კულტურის ძეგლთა რესტავრაციად მიზანშეწონილია ჩაითვალოს არა მხოლოდ ძეგლის ოდინდელი არქიტექტურული იერსახის დაბრუნება, არამედ უპირველეს ყოვლისა არქიტექტურული ჩანაფიქრის ხორცშესხმის კულტურის ე. ი. იმ სამშენებლო ტექნიკისა და ტექნოლოგიის აღდგენა, რომელიც დამახასიათებელი იყო განსაზღვრული ეპოქისა და გეოგრაფიული რეგიონისათვის, რომელშიაც და სადაც შენდებოდა ძეგლი.

რესტავრაციის მიზნის მხოლოდ არქიტექტურულ რაკურსში წარმოდგენა იმის უდავო საშიშროებას ქმნის, რომ სამუდამოდ იქნეს დაკარგული კონკრეტული ძეგლის ორგანიზმის წარმოქმნისა და სიცოცხლის თავისებურებანი, რამეთუ რესტავრაციის პროცესს ყოველთვის თან სდევს სხვადასხვა არქიტექტურული თუ საინჟინრო-ტექნიკური ცვლილებანი.

ამდენად, კვლევის სრულყოფილი პროგრამა უნდა მოიცავდეს ძეგლის როგორც არქიტექტურული შესწავლის, ასევე საინჟინრო-ტექნიკურ ძიებათა ციკლსაც, რომლის უმთავრესი ამოცანებია:

ა) დადგინდეს ძეგლის ტექნიკური მდგომარეობა და მშენებლობის ტექნოლოგია;

ბ) გამოვლინდეს ძეგლის საშენ მასალათა დაშლისა და რღვევის მიზეზები და ფაქტორები;

გ) დაისახოს აუცილებელი ღონისძიებები ძეგლის სიცოცხლისუნარიანობის გასახანგრძლივებლად.

დასახულ ამოცანათა გადაწყვეტა ორ ეტაპად უნდა ხორციელდებოდეს:

1. ძეგლის საშენი მასალების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა. მათი ფიზიკო-მექანიკური თვისებების გაუარესების მიზეზების გამოვლენა (ე. წ. „ფიქსაციის სამუშაოები“).

2. ძეგლის რესტავრაციისათვის საჭირო ახალი მასალების მეცნიერული შერჩევა, რესტავრაციის ტექნოლოგიის შემუშავება და ტექნოლოგიის პროექტის შედგენა.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ე. წ. „ფიქსაციის“ სამუშაოები იძლევა შემდგომში შესაძლებლობას, რომ მომავალმა თაობამ შეძლოს მსჯელობა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა ძეგლი აღნიშნულ რესტავრაციამდე და რა შეიცვალა რესტავრაციის შედეგად. ძეგლის საშენ მასალათა კვლევა საშუალებას იძლევა მოხდეს მათი იდენტიფიკაცია (მშენებლობის რომელიმე ერთ ან სხვადასხვა ეტაპზე გამოყენებული სამშენებლო ქვის, დუღაბის და ა. შ.) გამოვლენა, რის მეოხებითაც შესაძლებელი გახდება უფრო მეტი დამაჯერებლობით დაზუსტდეს ძეგლის მშენებლობის სავარაუდო ისტორია. ანალიზის შედეგად შესაძლოა დადგინდეს აგრეთვე ფრესკებში გამოყენებული პიგმენტები და მაკავშირებლები და ამის საფუძველზე აღდგეს მოხატულობის პირვანდელი ფერი და ა. შ.

განსაზღვრულ ისტორიულ მომენტში ძეგლის საშენ მასალათა ტექნიკური მდგომარეობის ფიქსირება წარმოადგენს იმ ფასდაუდებელ მასალას, რომელზე დაყრდნობითაც მომავალ რესტავრატორებს შეეძლებათ ზუსტად დაადგინონ ძეგლის შემდგომი რღვევისა და დაშლის ხარისხი, უტყუარად ამოიცნონ მიზეზები და დასახონ ქმედითი ღონისძიებები ძეგლის გადასარჩენად.

ძეგლის საშენი მასალების ისეთი თვისებების დადგენას („ფიქსაციას“), როგორიცაა მექანიკური სიმტკიცე, სიმკვრივე, ყინვამედეგობა, წყალშთანთქმა, ფოროვნება, ტენიანობა და ა. შ. პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ძეგლის რესტავრაციისათვის საჭირო ახალი მასალების ოპტიმალური შემადგენლობის შესარჩევად და რესტავრაციის პროცესის რაციონალური ტექნოლოგიის შესამუშავებლად.

თავისი ტექნიკური თვისებებით ძეგლის ძველი და ახალი საშენი მასალები მაქსიმალურად უნდა წააგავდეს ერთმანეთს. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ფიზიკო-მექანიკური და ქიმიური მახასიათებლების მკვეთრი განსხვავება დროთა განმავლობაში გამოიწვევს არასასურველ და შეიძლება გამოუსწორებელ შედეგს. ძველი და ახალი მასალის შეპირისპირების ადგილას წარმოიქმნება მექანიკური ძაბვები, მოხდება ტენის ინტენსიური დაგროვება, რაც დააჩქარებს მრღვევ პროცესებს და გამოიწვევს ახალი მასალის ძველიდან მოხეთქვას, რასაც ყოველთვის თან სდევს ძველი საშენი მასალის კიდევ უფრო ინტენსიური დესტრუქცია (მშენებლობის რომელიმე ერთ ან უკვე საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა მძიმე შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს ბინათმშენებლობაში პოპულარული ცემენტის, ისტორიულ ძეგლთა რესტავრაციაში გამოყენებამ. კირდუღაბთან შედარებით ცემენტზე მომზადებული დუღაბების განსხვავებული ფიზიკო-მექანიკური თვისებების გამო ირღვევა, ან სრულიად წყდება წყლის ორთქლის მიგრაცია კედლის მასივში, რაც თავის მხრივ იწვევს მის ინტენსიურ დასველებას და დაშლას, ფრესკების გარდუვალ დაღუპვას. ვფიქრობთ, სწორედ მსგავსი პროცესების შედეგი უნდა იყოს იკვის წმინდა გიორგის ეკლესიის ოთხივე ფასადის საპირე წყობის ადგილიდან დაძვრა და საპირე წყობასა და კედლის მასივს შორის ნაპრალის წარმოქმნა. ცნობილია, რომ საპირე წყობის რესტავრაცია გაკეთებულია 1939 წელს. გავიდა დაახლოებით 50 წელი და ძეგლის ძველმა საშენმა მასალამ არ შეიგუა რა ახალი, მისგან სრულიად განსხვავებული მასალა, მოიცილა იგი.

თუ ამ კონკრეტულ მაგალითს განვაზოგადებთ, წარმოისახება ძალზედ სამწუხარო პერსპექტივა. 40-50 წლის შემდეგ შეიძლება იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდეს ყველა ის ძეგლი, რომელთა რესტავრაციაც უკვე შესრულდა, ან ახლა სრულდება ისეთი თანამედროვე საშენი მასალებით, რომელთა ფიზიკო-მექანიკური თვისებები მკვეთრად განსხვავდება ძეგლის საშენ მასალათა თვისებებისგან.

ზემოთმოყვანილი მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ ძეგლების რესტავრაცია უმჯობესია ხორციელდებოდეს იმ მასალებითა და იმ ტექნოლოგიით, რომლითაც თავის დროზე აგებული იქნა აღნიშნული ძეგლი. ახალი მასალებისა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას კი აუცილებლად წინ უნდა უსწრებდეს სათანადო სამეცნიერო კვლევითი სამუშაოები, რომლებმაც უნდა მოგვცენ იმის სრული გარანტია, რომ ჩვენი დღევანდელი „პატრიოტული“ მოქმედებით კიდევ უფრო არ დავაჩქარებთ ძეგლის სიკვდილს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სჯობს სულ არ შევეხოთ მას.

რესტავრაციის პროცესების წარმართვა უნდა ხდებოდეს რესტავრაციის წესების სრული დაცვით. შესრულებულ გამოკვლევათა საფუძველზე უნდა დამუშავდეს ტექნოლოგიური რეკომენდაციები სარესტავრაციო სამუშაოთა წარმოების შესახებ. აღნიშნულ რეკომენდაციებში შეიძლება შედიოდეს ტექნოლოგიისა და რეცეპტურის შერჩევა: ბათქაშის და წყობის დუღაბისათვის, წყობის დამცავი საფარისათვის, ქვის ან აგურის ცალკეული ხარვეზის (ნაკლული ნაწილების) ამოსავსებად, ქვის სტრუქტურული გამაგრებისათვის, ანტიკოროზიისათვის, გამომარილებასთან საბრძოლველად და სხვა საკითხები, რომელთა სახეობები დამოკიდებულია ძეგლის ინდივიდუალურ თავისებურებებზე, მისი დაცვის პირობებზე და სარესტავრაციო დავალებაზე.

ძეგლის რესტავრაციის მუშა პროექტი უნდა მუშავდებოდეს სხვადასხვა სფეროს სპეციალისტების: არქიტექტორების, ინჟინერ-კონსტრუქტორების, ტექნოლოგების ერთობლივი ძალისხმევით, ერთი მთავარი მიზნით, **ძეგლის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად და მისი ისტორიულ-მხატვრული ღირებულების სრულად წარმოსაჩენად.**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, აუცილებელია დაწესდეს:

ა) უკლებლივ ყველა ძეგლზე არქიტექტურულ-არქეოლოგიური ფიქსაციის სამუშაოებთან ერთად აუცილებლად ჩატარდეს ძეგლის საშენი მასალების ტექნიკური მდგომარეობის ფიქსაცია. გამოვლინდეს მათი ფიზიკო-მექანიკური თუ ქიმიური თვისებების გაუარესების მიზეზები;

ბ) უკლებლივ ყველა ძეგლის რესტავრაციის მუშა პროექტში წარმოდგენილი იყოს ტექნოლოგიური ნაწილი ცალკეული რეკომენდაციებისა თუ პროექტის სახით;

გ) რესტავრაციის პრაქტიკული სამუშაოები ჩატარდეს მხოლოდ და მხოლოდ რესტავრაციის ტექნოლოგიის პროექტის გათვალისწინებით.

**თეიმურაზ ბურკიაშვილი,**
**საეც. სამეცნიერო საწარმოო გაერთიანების კვლევითი ლაბორატორიის სექტორის გამგე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.**

**არქიტექტურა და მშენებლობა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრობლემა

# ვაშენოთ მკვიდრად, საზრიანად, გემოვნებით

**რედაქციის თანამშრომელი თამარ ებრალიძე შეხვდა ახალგაზრდა არქიტექტორებს, ბატონ თემურ ჯაფარიძეს (არქიტექტორული კოოპერატივი „ბანა"), ბატონ მიხეილ ურუაშვილს (შემოქმედებითი სტუდია „არხი") და სთხოვა მიწისძვრასთან დაკავშირებული არქიტექტურული და სამშენებლო პრობლემის თაობაზე ზოგადი კომენტარის გაკეთება.**

**— მიწისძვრამ დაგვაყენა ბევრი პრობლემის წინაშე. ძირითადია ის, რომ თავიდან უნდა აშენდეს თითქმის მთელი რაჭა, სამაჩაბლო და ზემო იმერეთი. თქვენ, როგორც არქიტექტორები, მამულიშვილები, ქართველები, იმისდა მიუხედავად, გიმუშავიათ, თუ არა კონკრეტულად სოფლის ტიპის დასახლებების პროექტირებაზე, დღეს, ალბათ, ინტენსიურად ფიქრობთ ამ პრობლემის გარშემო. საკითხი ასე დგას, რასაკვირველია, კარგად უნდა ავაშენოთ, იმიტომ რომ საქართველოს ბუნება ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი კაპიტალია და დაუშვებელია, მთელი ეს რეგიონი დავამსგავსოთ ზანავს, მახინჯი, ერთმანეთს მიწყობილი ტიპიური სახლებით გავავსოთ... თანაც ის, რაც სოციალიზმის დროს, ასე თუ ისე, გამართლებული იქნებოდა, რამეთუ სიმახინჯე და უხარისხობა ამ სისტემის თანმხლები ცნებები იყო, დღეს, დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ ქართველობას არ ეკადრება, სათანადოდ ვერ მოუაროს თავის მიწას. ეს სამარცხვინოც იქნება და დამღუპველიც. ისიც ცნობილია, რომ სწორედ ახლა მატერიალურად ძალიან გვიჭირს. თქვენ, როგორც არქიტექტორები, კოოპერატორები, როგორ ფიქრობთ, რა ძირითადი კონკრეტული პრობლემების წინაშე დავდგებით, და რა გზები არსებობს ამ გართულებათა გადასალახავად?**



**ბატონი თემურ ჯაფარიძე** — დადგება ის პრობლემა, რომელიც დგას საერთოდ. რომც არ ყოფილიყო ეს მიწისძვრა, ჩვენ მაინც ვიდექით ამ პრობლემის წინაშე. ეს არის მშენებლობის კულტურის დაბალი დონე, რომელიც მრავალი მიზეზით არის განპირობებული, და ძირითადი მაინც ის მახინჯი სტრუქტურებია, ჩვენში რომ ხელოვნურად ინერგებოდა 70 წლის მანძილზე. მგონია, რომ უპირველესი, რაც უნდა გაკეთდეს, მოხდეს ჩვენი მატერიალური შესაძლებლობების შეფასება, ზუსტად გაირკვეს რა სახსრები გვექნება და, აქედან გამომდინარე, უკვე დაისახოს კონკრეტული გეგმები. ასევე უნდა შეიქმნას კომპეტენტური არქიტექტურული კომისია, რომელიც კურირებას გაუწევს ყველა ტიპის მშენებლობას ამ რეგიონში. და რაც მთავარია, უნდა აუცილებლად დადგინდეს მშენებლობის პრიორიტეტი. მკვიდროდ დასახლებული ადგილები უფრო სწრაფად უნდა აშენდეს. რაც შეეხება იმას, რომ უსახლკაროდ არავინ დარჩეს — სანამ ერთი რომელიმე დასახლება აშენდება, დროებით ასაწყობი სახლების ჩადგმა შეიძლება, ხოლო მოგვიანებით საფუძვლიანი მშენებლობის წარმოება, რომ დრო და შესაძლებლობა დაგვრჩეს სათანადო სიფაქიზით ჩავეწეროთ ამ უჩვეულოდ ლამაზ გარემოში.

**ბატონი მიხეილ ურუაშვილი** — უნდა ითქვას, რომ თანამედროვე მოთხოვნები გართულებულია. აუცილებლად დადგება კომუნიკაციების საკითხი. რაკი ყველაფერი თავიდან ასაშენებელია, ისე უნდა აშენდეს, რომ მერე დანგრევა, გადაკეთება, კომუნიკაციების გაყვანა აღარ დაგვჭირდეს. ახლავე გასათვალისწინებელია გზების, კანალიზაციის, გაზის, ელექტროფიკაციის, წყლის პრობლემები. ამ საკითხებში გასათვალისწინებელია ყველა სპეციალისტის აზრი. ამ პროცესში ასევე უნდა ჩაებნენ ისტორიკოსები, ხელოვნებათმცოდნეები, რათა დაკონკრეტდეს ამ რეგიონებისათვის დამახასიათებელი საცხოვრებელი სახლის ტიპი და განაშენიანების ტრადიციული სურათი, რათა შემდგომ განზოგადდეს და აქაურობისთვის ბუნებრივ ზოგად არქიტექტურულ კონცეფციას დაედოს საფუძვლად.

ასევე აუცილებლად მიმაჩნია, რომ



უმოკლეს ვადაში შეიქმნას რეგიონის გეოლოგიური სურათი და სეისმური რუკა. ამ მხრივ, როგორც ვიცი, უკვე მიმდინარეობს სერიოზული მუშაობა. სამწუხაროდ, უკვე ისმის აქა-იქ ხმები, რომ მოსახლეობას აღარ უნდა თავის მიწებზე დარჩება და იქიდან წამოსვლას ფიქრობენ. ეს დაუშვებელია. გაქცევა არ არის გამოსავალი. ჩვენ მე-20 საუკუნეში ვცხოვრობთ. ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნისთვის სეისმურად აქტიური ზონა არ ნიშნავს აუცილებელ ნგრევას. ასე რომ იყოს, იაპონიაში არც ერთი ადამიანი არ უნდა ცხოვრობდეს. უბრალოდ, უნდა ზუსტად დადგინდეს სეისმომედეგობის ზღვარი და ამის შესაბამისად ვაშენოთ. ეს მეთოდები მთელ მსოფლიოში უკვე კარგად არის დამუშავებული და ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ მათი გამოცდილება.

რაც შეეხება თვითონ პროექტირებას, უნდა იყოს მაქსიმალურად მრავალფეროვანი, ესთეტიური და ხარისხიანი.

**ბ-ნი თ. ჯ.** — ნებისმიერ დიდმასშტაბიან პრობლემას სჭირდება ზოგადი სტრატეგიის შემუშავება. მთელ ცივილიზებულ სამყაროში ეს პრობლემები ასე თუ ისე გადაწყვეტილია. ყველგან არსებობს უკვე დამუშავებული რაიონული გეგმარების პრობლემები — ქვეყნის რომელი რეგიონი რა მხრივ უნდა განვითარდეს და, აქედან გამომდინარე, რამდენმა კაცმა უნდა იცხოვროს ამა თუ იმ რეგიონში, რა სპეციფიკა, პერსპექტივები და გაფართოების რა საშუალებები არსებობს, ჩვენთან ესეც დაუმუშავებელია, ისევ იმ ცენტრალიზაციიდან გამომდინარე, ადრე, მაგალითად, მოსკოვი გეგმავდა, რომ ზუგდიდში აშენებულიყო ქარხანა, 10 000 მომსახურე პერსონალით. გინდოდა, არ გინდოდა, ეს ათი ათასი კაცი სადღაც უნდა ჩაგესახლებინა და ტრადიციულად შეუსაბამო გარემოში, ყველა ბუნებრივი პირობების გაუთვალისწინებლად გიხდებოდა მრავალსართულიანი სახლების ჩადგმა. ეს არღვევდა განაშენიანების მთელ ჰარმონიულ სტრუქტურას. მაგრამ ამას ვერ ეწინააღმდეგებოდი. მიწისძვრა ახალი განაშენიანების პირობებში დღეს ასეთ პრობლემასაც აყენებს, დავსახოთ თითოეული რეგიონის სპეციფიკა და აქედან გამომდინარე გაიშალოს გეგმარება. ეს ზოგადი სტრატეგიული გეგმის შემუშავების გარეშე ვერ მოხერხდება.

**ბ-ნი მ. უ.** — ყველა ამ პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ სახელმწიფოს დონეზე უნდა მოხდეს. სტრატეგიის შემუშავების შემდეგ ჩვენ ყველანი, არქიტექტორების დიდი უმრავლესობა ანაზღაურების გარეშეც დავამუშავებთ ცალკეულ უბნებს თუ კონკრეტულ პროექტებს.

**— ამასთან დაკავშირებით ახალი პრობლემა დგება. რა გარანტია გვაქვს, რომ კონკრეტული უბნების პროექტირება მოხვდება სწორედ კვალიფიცირებული და კეთილსინდისიერი არქიტექტორების ხელში, და არა იმის ხელში, ვინც თავის დროზე მორგებული იყო ძველ სტრუქტურებს და ახლა იმარჯვა და ნელ-ნელა ახალ დროსაც იპყრობს. ხომ ვიცით, რომ არსებობდა კარგად აწყობილი მექანიზმები საკუთარი პროექტების „გაჩაჩვის" და მომგებიანი ობიექტების ხელში ჩაგდებისა. ისიც ხომ ვიცით, რომ ეს მექანიზმები, მეტად თუ ნაკლებად, დღესაც მუშაობს.**

**ბ-ნი თ. ჯ.** — ღმერთმა ქნას, იმდენად პრესტიჟული გახდეს ამ რეგიონების დაპროექტება და მშენებლობა, რომ წარმოიშვას ამგვარი პრობლემები. სამუშაო იმდენია, ყველას ეყოფა. ხოლო იმისთვის, რომ შემაშფოთებელი ხასიათი არ მიიღოს ამ პროცესებმა და არ გადაიქცეს თავის გამოჩენის სარბიელად, არის საჭირო სწორედ ის კომისია, რომელზეც ადრევე ვთქვით. აუცილებელია, ამ რეგიონებში წარმოებული ყველა სამშენებლო თუ არქიტექტურული სამუშაოს კოორდინირება.

**ბ-ნი მ. უ.** — მთავარია, რომ საერთო ძალისხმევით რაღაცნაირად მოხერხდეს ესთეტიური თვალსაზრისით მაღალი დონის არქიტექტურული კონცეფციის შემუშავება. ამაში მთელმა საზოგადოებამ უნდა მიიღოს მონაწილეობა, პოეტებმა, ისტორიკოსებმა, ხელოვნებათმცოდნეებმა, ეთნოგრაფებმა. არ უნდა დაირღვეს ქართული არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ტრადიციული საფუძველი.

**— ამ მხრივ, მე განაშენიანების პრობლემა ნაკლებად მაღელვებს. სრულიად არ ვარ კომპეტენტური არქიტექტურის საკითხებში, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ საქართველოში უშნოდ აშენებული სოფელი არ მინახავს. ალბათ, დამეთანხმებით ამაში. ის, რაც ბუნებრივად, წინასწარ დაგეგმარების გარეშე შენდებოდა წლების მანძილზე, ყოველთვის უფრო ლამაზად ჩანს, ვიდრე სპეციალურად დაგეგმილი სოფელი. მოკლედ, თუ არქიტექტორი არ ერევა დაგეგმარებაში, ყველა სოფელი ლამაზია. იქნებ აღარ მოვიგონოთ ახალი ველოსიპედი და იმ ადგილებში, სადაც უკვე იდგა სახლები, ახალი შენობები ჩავდგათ. ეს უფრო ბუნებრივად შეერწყმება გარემოს.**

**ბ-ნი თ. ჯ.** — ეგ ბუნებრივია, და ალბათ ასეც მოხდება. მაგრამ წინასწარ მაინც საჭირო გახდება პროგნოზის გაკეთება. უნდა დადგინდეს, როგორი იქნება განვითარების პერსპექტივა და შემდეგ ამის მიხედვით შემუშავდება საერთო სურათი. არც მე ვარ მომხრე აქტიური, ურბანიზებული ჩარევის, მაგრამ პროგნოზირება აუცილებელია.

**ბ-ნი მ. უ.** — მეც ბუნებრივი განვითარების მომხრე ვარ, მაგრამ თეორიულად არ არის აუცილებელი, რომ დიდი ინტერვალები იყოს მშენებლობებს შორის. ამისთვის არის აუცილებელი არქიტექტურული კანონმდებლობა. უნდა აუცილებლად დადგინდეს ჩარევის ხარისხი ყველა ცალკეული რეგიონის ბუნებრივი პირობებისა და არქიტექტურული ტრადიციების გათვალისწინებით.

**— რა კონკრეტული წინადადებებით შეგვიძლია დღეს მივმართოთ თქვენს კოლეგებს, მთავრობას და ხელისუფლებას? თქვენ, როგორც არქიტექტორებს, თქვენი ქვეყნის სატკივარზე ჩაფიქრებულ ადამიანებს, რა გინდათ რომ იქნეს გათვალისწინებული თქვენი გამოცდილებიდან თუ ნააზრევიდან?**

**ბ-ნი თ. ჯ.** — კარგი იქნებოდა, რომ უმოკლეს ვადაში არქიტექტორთა შემოქმედებით კავშირს, საზოგადოების აზრის გათვალისწინებით, შეემუშავებინა მიწისძვრით დაზარალებული რეგიონების ზოგადი არქიტექტურის ესთეტიკური და საინჟინრო კონცეფცია და მაქსიმალურად ორგანიზებულად, უმოკლეს ვადაში გამოეცხადებინა საქველმოქმედო კონკურსი ამ რეგიონების საცხოვრებელი სახლების პროექტებზე. მე დარწმუნებული ვარ, ბევრი დაზარალებულთაგან თვითონ მოკიდებს ხელს თავისი სახლის მშენებლობას და ამ შემთხვევაში მას უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ აირჩიოს თავისთვის შესაფერისი პროექტი. აუცილებელია, რომ მას მიეცეს ფართო არჩევანის საშუალება. კონკურსში გამარჯვებული პროექტების ბუკლეტები დაიბეჭდება და ყველა თავისი გემოვნების მიხედვით აირჩევს თავისთვის ყველაზე მისაღებ პროექტს. ეს ბუნებრივად გვიხსნის ერთფეროვნებისგან და თუ მოვახერხებთ, რომ კონკურსის მოთხოვნა მხატვრული თვალსაზრისით მაღალი იყოს, მეტად თუ ნაკლებად დაცული ვიქნებით უგემოვნობისა და პრეტენზიულობისაგან.

**ბ-ნი მ. უ** — ვფიქრობ, კარგი იქნებოდა, თუ იმ დახმარებას, რომელსაც საზღვარგარეთისგან მივიღებთ, ჩვენთვის მაქსიმალურად მომგებიანად გამოვიყენებთ. დარწმუნებული ვარ, რომ გარკვეული რაოდენობით ვალუტა შემოვა მიწისძვრასთან დაკავშირებით და ამ ფულით ცემენტის და აგურის ყიდვა უპერსპექტივო და წამგებიანი მეჩვენება. სჯობს, შემოსული ვალუტა ტექნოლოგიის შესაძენად გამოვიყენოთ. ვიყიდოთ არა აგური, არამედ აგურის ქარხანა, რომელიც დაზიანებულ ზონაში ჩაიდგმება და იქვე წარმოებული აგურით აშენდება ეს რეგიონი. დღევანდელი ევროპული ტექნოლოგიის შესაძლებლობები, ფაქტობრივად, შეუზღუდავია და კარგი იქნებოდა, რომ ჩვენთანაც შემოსულიყო. მგონია, რომ ჩვენთვის ეს ყველაზე მომგებიანი ვარიანტი იქნება.

**— დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის. ჩვენს გაზეთს დაგეგმილი აქვს დაზარალებულ რეგიონთან დაკავშირებული პროცესების ფართო გაშუქება და თუ რაიმე პრობლემები წარმოიშვება, ისევ გთხოვთ კომენტარის გაკეთებას.**

არქიტექტურა და მშენებლობა

# ...ერთფერად მტვირთველი არის, საქმის თეთრის და შავისა...

**მიწისძვრიდან** მეოთხე დღეს მოგვიხდა იმერეთში გამგზავრება. გაოცებული გავყურებდით ჭერათხევის ხეობაში აზიდულ კლდეებს, ისევ ისე, ნირშეუცვლელად რომ დგანან, ნუთუ ეს მძიმე კლდეები შეირხა, ნუთუ ეს დინჯი ტყე ატორტმანდა, თუმცა გზად არსად შევხვედრივართ დაღარულ მიწას, არც ნანგრევები მოჩანდა სადმე. პირიქით, სასიამოვნოც კი იყო გლეხკაცის მარჯვენით გაკოპწიავებული ბაღვენახების, ყანების, ნაირფრად აელვებული მინდვრების ხილვა. ეს მხოლოდ გზა იყო, რამდენიმე კილომეტრის შემდეგ ჩვენ „საომარ" ქალაქში უნდა შევსულიყავით, დანგრეული სახლები, ჩამოქცეული ეკლესიები, ჩამოშლილი „მოდინახე", ავად დაბზარული სალი კლდეები უნდა გვენახა, დაღონებულ ბავშვებს, მწარედ ჩაფიქრებულ მოხუცებს, ამდენი მოულოდნელობით დაბნეულ, საზრუნავმომატებულ ახალგაზრდებს უნდა შევხვედროდით...

ზოგი ისევ ყვებოდა იმდღევანდელ ამბავს, ზოგს საერთოდ აღარ უნდა იმ წუთების გახსენება.

— დილით ადრე თბილისში წასასვლელად ვემზადებოდი. რამდენჯერაც მანქანის კართან მივედი, იმდენჯერ შარვლის ტოტში კბილებით მწვდა მეზობლის ძაღლი, თითქოს არ მიშვებდა, გავუბრაზდი კიდეც, აბა რა ვიცოდი, რას მანიშნებდა — გვითხრა ჯემალ წერეთელმა.

— ჩვენს კორპუსში ვისაც პატარები ჰყავს, ყველანი სოფლად გაიხიზნენ, ჩვენ დავრჩით მხოლოდ, არც სოფელი გვაქვს და არც სხვაგან წასასვლელი, — ამბავს გვიყვებოდა ჭიათურის მკვიდრი ჩიორა სანაძე,— ჩვენი კორპუსი თითქმის არც კი გაბზარულა, უბრალოდ შიში დაგვეუფლა, ძნელი წარმოსადგენია ის, რაც აქ იმ წუთებში ხდებოდა.

— საჩხერეში იმ დღის შემდეგ პური აღარ გამომცხვარა. თითქმის ყოველდღე მოდის სხვადასხვა კუთხიდან დახმარება, რატომღაც ჯერჯერობით ორგანიზებულად ვერ ნაწილდება პროდუქტი. თითქმის აღარ არის სასმელი წყალი. გუშინ ერთ სულ მოსახლეზე ასი გრამი ბორჯომი განაწილდა... — გვითხრა სოფელ სარეკში გოჩა ცომაკურიძემ.

სოფელი პერევისა ჭიათურის რაიონში ერთ-ერთი ყველაზე მაღალმთიანი სოფელია. იქ სკოლა დაინგრა, ღვთის წყალობით, ნგრევას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

— ხუთშაბათს, სოფელში პურის ფქვილი დაურიგებიათ, ოც-ოცი კილოგრამი თითოეულ მოსახლეზე. მე არ მისარგებლია ფქვილით, სოფელში ბევრია ბავშვიანი ოჯახი, მათ უფრო სჭირდებათ, იმათთვის მადლია — ძალიან ბუნებრივად, ყოველგვარი რეკლამის სურვილის გარეშე გვითხრა ჭალარამერეულმა, მხნე კაცმა.

ის ღამე სწორედ იმ მაღალმთიან სოფელში გავატარეთ. სოფლის ყველაზე მაღალ ადგილას თამარ მეფის ბრძანებით აგებული წმინდა გიორგის ეკლესია და უფრო ადრეული ხანის ბაზილიკა დგას. ეკლესიას დიდი ხანია გუმბათიც ჩამოქცეული აქვს, შიდა კედლებიც მონგრეულია, მაგრამ მიწისძვრას მაინც გაუძლო, შორიდან ისევ ამაყად გამოიყურება (სხვა საქმეა, რომ სოფლისა და რაიონის მესვეურებმა ვერა და ვერ მოიცალეს ძეგლის აღდგენისათვის).

მშვიდი, ულრუბლო ღამე ჩამოწვა. სიჩუმეს აქა-იქ ძაღლების ყეფა არღვევდა. შუაღამისას მიწამ საზარლად დაიღმუვლა, ატორტმანდა, შეირხა, თითქოს დედამიწის ამოვარდნილი გულისცემა ესმოდა, მოგუდული, ზარიანი, გულიდან გამომსკდარი. მიწისძვრა ოთხჯერ განმეორდა. ბოლოს, განთიადისას შედარებით სუსტი ტალღით დამთავრდა. კიდევ ერთი დიდი „ომი" გადაიხადა გარემომ. მზიანი, თბილი, უქარო დილა გათენდა. იმდენად მშვიდი და წყნარი, რთული წარმოსადგენიც კი იყო, რომ ეს ულამაზესი ყვავილებით მოქარგული დედამიწა გმინავდა, ზღვასავით ღელავდა ღამით. ვაჟას სიტყვები გამახსენდა:

**„ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა**
**თავისა,**
**ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,**
**ზოგჯერ მქნელია ავისა,**
**ერთფერად მტვირთველი არის,**
**საქმის თეთრის და შავისა,**
**სადაც პირიმზეს ახარებს, იქვე**
**მთრელია ზვავისა,**
**მაინც — კი ლამაზი არის, მაინც**
**სატრფოდ ჰყავისა"**

ჭიათურის პრეფექტურის შენობასთან უამრავი ხალხი შეიკრიბა. წინა ღამის მიწისძვრამ კიდევ უფრო გაზარდა დაზარალებულთა რი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხვი, დამატებითი საზრუნავი და პრობლემები გაჩნდა...

— სამი შვილი მყავს, უმამოდ იზრდებიან ბავშვები, ახლა სახლიც თავზე დაგვექცა, კაცი არაა ჩვენი პატრონი — გვითხრა ახალგაზრდა, აცრემლებულმა ქალმა (მკითხველი, ალბათ, გვაპატიებს, ყველას სახელის და გვარის ჩანიშვნა ვერ მოვახერხეთ).

— მოხუცი, ინვალიდი დედა მყავს, ღია ცის ქვეშ დავრჩით, იქნებ კარავი მოგვაშველოს ვინმემ...

— არ გვინდა უფასოდ დარიგებული სურსათი, გუშინ კვერცხები დაგვირიგეს ოც-ოცი ცალი, სისტემატურად მოგვაწოდონ გასაყიდი პური და სასმელი წყალი, უფრო მადლობელნი ვიქნებით...

— ყოველდღე აცხადებენ ტელევიზიით, რომ ამდენი ფულადი, მატერიალური, სასურსათო, სამედიცინო დახმარება მიდის დაზარალებულ რეგიონებში, კი მაგრამ, ჩვენამდე ჯერ არაფერი მოსულა...

— კარვები მაინც მოგვაწოდონ, რომ წვიმისაგან დავიფაროთ ოჯახი...

ხალხი არ ცხრება, არც გაემტყუნებათ, მათ ხომ საკუთარ თავზე, მცირეწლოვან ბავშვებზე გამოსცადეს მიწისძვრის მთელი სიმძიმე. მდგომარეობის შემსუბუქებას ადგილობრივი ხელისუფლებისგან მოელიან.

ჭიათურის ალმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **ვახტანგ უგულავა**: — შექმნილი სიტუაცია დიდი სირთულეების წინაშე გვაყენებს. კიდევ უფრო გართულდა საქმე წუხანდელი, განმეორებითი მიწისძვრის შემდეგ. მართალია, მსხვერპლი ნაკლებია, მაგრამ უსახლკაროდ დარჩა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. 6500 სახლზე მეტია დანგრეული, ჩვენ კი 1000 კარავიც არა გვაქვს. სურსათიც გვაკლია, სასმელი წყალიც...

გვესაუბრება ჭიათურის პრეფექტი ბატონი **თ. აბუაშვილი**:

— ჩვენთვის თითქმის შეუძლებელი იქნებოდა პროდუქტების სამართლიანი განაწილება, რომ არა საკრებულოების თავმჯდომარეთა განაცხადები. ამა თუ იმ სოფლის საკრებულოს წარმომადგენელი ვალდებულია, მოგვაწოდოს მოსახლეობის სია; უპირატესობა ენიჭებათ ბავშვებიან ოჯახებს, მოხუცებს, ხოლო შემდეგ, როგორც შეგვიძლია, სხვა დაზარალებულებსაც ვაქცევთ ყურადღებას. ხალხი მასობრივ ფსიქოზს განიცდის, თავად ჩვენც ძალლიან გვიჭირს, სულ ორი თვეა რაც ვს მოვალეობა დაგვეკისრა და უმალვე ექსტრემალურ სიტუაციაში აღმოვჩნდით. მიმაჩნია, რომ სწორედ ახლა გვმართებს ობიექტურობა, ახლა გამოგვაჩენს ჩვენივე საქმენი. დიდი გამოცდის ზღვარზე ვდგავართ, ხალხის ბედი დამოკიდებულია ჩვენს სამართლიანობაზე, გულისხმიერებაზე. ჭიათურაში 2500 სახლი მთლიანად დაინგრა, ისე რომ აღდგენა შეუძლებელია, მაგრამ ეს წუხანდელ მიწისძვრამდე იყო. წუხელ დიდი რაოდენობის ზარალი ნახა მოსახლეობამ. ჩვენ ახლა განმეორებით მოგვიწევს კომისიის გაგზავნა და ვითარების შესწავლა.

**— როგორ ფიქრობთ, მოსახლეობას ურჩევნია რესპუბლიკამ თავისი ძალებით აუშენოს საცხოვრებელი ბინები, თუ არის სურვილი, რომ მათ მიეცეთ სამშენებლო მასალა და საშუალება ინდივიდუალური მშენებლობისათვის?**

— ჩვენ ფეხით შემოვიარეთ თითქმის ყველა დანგრეული სოფელი, შევხვდით დაზარალებულ მოსახლეობას და გამოიკვეთა აზრი, რომ ისინი მოხარულები იქნებიან, თუ მათ შეღავათიან ფასებში მივაწოდებთ სამშენებლო მასალებს და მჯერა კიდეც, კაცი ზამთრამდე ერთ ოთახს მაინც აიშენებს და საცხოვრებლად გამოიყენებს. ყველამ კარგად ვიცით, თუ როგორ ჭიანურდება ჩვენთან მასობრივი მშენებლობები, მერე მოსახლეობის რამდენი პრეტენზია და ჩივილი ისმის, ამიტომ, ვფიქრობ, უმჯობესი იქნება თუ ხალხს, იმათ, ვისაც ამის უნარი აქვს, მივცემთ საშუალებას თავისი მოთხოვნილების მიხედვით აიშენოს საცხოვრებელი ბინა. ეს აზრი პირადი საუბრებიდან დაიბადა, მაგრამ რეალურად განხორციელებისათვის საჭიროა შეიქმნას სიები საკრებულოების დახმარებით, რამდენ კაცს სურს და რამდენად შეუძლია მშენებლობის წარმოება.

საჭიროა არქიტექტორების, გეოლოგების პრინციპული ჩარევა. რატომღაც ჩვენმა გლეხობამ ბოლო პერიოდში ქვის „ციკლოპების" აგებას მიანიჭა უპირატესობა, არადა ხის, ტრადიციული სახლები თითქმის არც კი დანგრეულა! ეს სხვა საკითხია. ახლა ძალზედ მნიშვნელოვანია გეოლოგიური სინჯების შემდეგ ნებართვით აიგოს ამა თუ იმ ტერიტორიაზე ნაგებობები. აუცილებელია, რამდენიმე არქიტექტურული პროექტის შემუშავება, რათა ნაგებობა უხდებოდეს გარემოს, რომ ყველა ერთფეროვანი და, ამდენად, ულამაზო არ იყოს.

თბილისში გამობრუნებულებს ბევრი ფიქრი და წუხილი გამოგვყვა, მაგრამ იმედად ისევ იმედიანი შეძახილი ჩაგვესმოდა: „ძმებო, ქიზიყი თქვენთანაა", „ძმებო, მთელი საქართველო თქვენთანაა", სიტყვები თანადგომის, თანაგრძნობის, ერთურთის სიყვარულის გამომხატველი. ქართველი კაცი ხომ რწმენას, სიცოცხლის სიყვარულს, მამაპაპეული ფუძის ართმოშლის ნიჭს მოუყვანია დღემდე.

**ირმა კახნიაშვილი**

**ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება ხტიქიით დაზარალებულთა ფონდში.**







ბიბლიოთეკა

# ქორწილის დროის შერჩევის პრინციპი და მისი მნიშვნელობა საქართველოში

სხვადასხვა ხალხში ქორწილის რიტუალისათვის წელიწადის გარკვეული პერიოდი იყო შერჩეული. მაგალითად, ქართველ ხალხში ქორწილისთვის ყველაზე სასურველ დროდ — შემოდგომა (ოქტომბერ-ნოემბერი), სომხებში — ზამთარი, აღმოსავლეთ სლავებში — გაზაფხული, ბალკანეთის ხალხებში (მაკედონიის ბულგარების გამოკლებით) შემოდგომა ითვლებოდა.

დროის ამგვარი შერჩევა სრულიადაც არ იყო შემთხვევითი. აღნიშნული ფაქტი საყოველთაოდ გავრცელებული იყო ადრეული ხანიდანვე და მას ჰქონდა ძირითადად ეკონომიკურ და ფიზიოლოგიურ საფუძველზე დაფუძნებული საწყისი, რომელიც თანდათანობით ჩვეულებად ჩამოყალიბდა. ქორწილისათვის (ასევე ნიშნობისთვისაც) წელიწადის სეზონის შერჩევას (ძირითადად შემოდგომა, ნაწილობრივ ზამთარი), შეიძლება ითქვას, არსებითად ობიექტურად მართებული მიზეზები ჰქონდა. კერძოდ, ა) შემოდგომა ეს ისეთი დრო იყო, როდესაც ყოველ ოჯახს მთელი წლის სამყოფი სურსათ-სანოვაგის (მარცვლეული, ღვინო, ხილი, კარტოფილი და ა. შ.) მარაგი დაუნჯებული ჰქონდა; ბ) აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობა შედარებით თავისუფალი იყო მეტად შრომატევადი მინდვრის თუ სხვა გარე სამუშაოებისაგან (ხვნა, თესვა, თიბვა, მწყემსობა და ა. შ.); გ) გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ შემოდგომა-ზამთარში საკმაო სიგრილ-სიცივის წყალობით ოჯახი დაზღვეული იყო ქორწილისათვის დიდი რაოდენობით მომზადებული მალეფუჭადი პროდუქტის გაფუჭებისაგან (ცნობილია, რომ წარსულში ტექნიკური მოუწყობლობის გამო ზაფხულის პირობებში მალეფუჭადი პროდუქტების შენახვა ძნელდებოდა), ქორწილისათვის არა მარტო წლის დრო (სეზონი-ციკლი) იყო რეგლამენტირებული, არამედ თვეც. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ქორწილის გადახდა მიუღებელი იყო მარტისა და მაისის თვეში (აპრილი თავისთავად იგულისხმებოდა, რადგან დიდი მარხვა იყო. აღდგომა თუ აპრილს დაემთხვეოდა, მაშინ აღდგომის შემდეგ დარჩენილი დღეები ქორწილისათვის მეტად სასურველად ითვლებოდა). მოსახლეობაში მაისთან დაკავშირებით ასეთი გამოთქმა დღესაც შეიძლება დაფიქსირდეს: „მაისმა თქვა: მე ვყვავილობ და პატარძალს არ ვაყვავილებ“-ო.

ქორწილის გადახდისათვის საქართველოს მოსახლეობაში, და სხვა მრავალ ხალხშიც, დიდი ყურადღება ექცეოდა დღეებსაც. ჯერ კიდევ შუამდინარეთში ყოველი დღე მკაცრად იყო განაწილებული. საგანგებოდ აღნიშნავდნენ, რომელ დღეს რა საქმის გაკეთება შეიძლებოდა და რომელი დღე იყო საერთოდ, ტაბუირებული. ეს ფაქტი არაერთ შუმერულ ნაწერშია დაფიქსირებული. უფრო მეტიც, ბევრ ხალხში დროის მიხედვით რეგლამენტირებული იყო არა მარტო ესა თუ ის სამეურნეო საქმიანობა და რიტუალური ქმედება, არამედ მათგან მეტად დაშორებული ისეთი მოქმედებები, როგორიცაა, მაგალითად, ბავშვებისათვის მითებისა თუ ზღაპრების მოყოლა უფროსების მიერ. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ცალკეულ კუთხეში დღესაც პატარებისათვის ზღაპრის თქმა მხოლოდ დროის გარკვეულ მონაკვეთში (ღამეს) შეიძლება.

საქართველოში დაწინდვა-ნიშან-ქორწილის რიტუალების დაწყება არ შეიძლებოდა ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს. მოსახლეობის ნაწილი ტაბუირებულ დღედ მიიჩნევს შაბათსაც. აღნიშნული რიტუალების დაწყებისათვის ყველაზე სასურველ დღედ მიჩნეული იყო ხუთშაბათი და კვირა. „ხუთშაბათის რძალი კარგი ქალი იქნება“-ო, — გადმოგვცემენ მთხრობელები. ჩვენ ბევრი ვეცადეთ თვით მთხრობელებისაგან რამენაირად გაგვეგო დღეების მიმართ ამგვარი დამოკიდებული, მაგრამ უშედეგოდ. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს, სხვა ფაქტორებთან ერთად, რელიგიურ მომენტებზეც.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ორშაბათი მრავალ ხალხში არასასურველ „ნავსიან“ — „ქუმეტ“ დღედ ითვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ხალხის წარმართული პანთეონის შვიდეულში ორშაბათი უზენაესი ღვთაების, — მთვარის — სადიდებელ დღედ იყო მიჩნეული, მაინც საქართველოს ყველა კუთხეში ამ დღეს ერიდებოდნენ არა მარტო საქორწინო და საოჯახო ამა თუ იმ რიტუალის შესრულებას, არამედ მგზავრობასაც კი. მოსახლეობის მითითებით, ორშაბათ დღეს არავითარი საქმის დაწყება არ შეიძლებოდა, მაინცდამაინც თუ ამ დღეს დაიწყებდნენ რაიმე საქმეს, მას კეთილი დაბოლოება არ ექნებოდა. მსგავსი შეხედულება არსებობდა მრავალ სხვა ხალხშიც. აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება უფრო მეტის თქმაც. ზოგიერთი ხალხის რწმენით, ახალი წელი თუ ორშაბათ დღეს დაიწყებოდა (დაემთხვეოდა), ეს წელი ხალხისათვის მეტად მძიმე იქნებოდა, ამ წელს მოსალოდნელი იყო სტიქიური უბედურებანი: წყალდიდობა, ხალხის დიდი სიკვდილიანობა და ა. შ.







ორშაბათის ტაბუირებაში რელიგიური მომენტებიდან შეიძლება გავითვალისწინოთ ის ფაქტორი, რომ მრავალ ხალხში და მათ შორის ქართველთა წინაპრებშიც უძველესი დროიდან ორშაბათი დღე ბუნების ბოროტი ძალების, ჯადოქრობის, მიცვალებულთა სულების სიკვდილის სამეფოსთან დამაკავშირებელ მითოსური ძალების დღედ იყო მიჩნეული.

რაც შეეხება ოთხშაბათს, ცნობილია, რომ წარსულში ეს დღე ჰერმესის ანუ მერკურისათვის განკუთვნილ დღედ ითვლებოდა. ჰერმესს კი, როგორც ვიცით, ჰადესში სულების გაცილება ევალებოდა. ხომ არ არის ამასთან რაიმე ურთიერთკავშირში ქრისტეს გაცემა სწორედ ოთხშაბათ— ჰერმესის დღეს? შემდეგში კი ამის საფუძველზე ქრისტიანული ეკლესიის მიერ ამ დღის მარხვად გამოცხადება? (მარხვაში კი ქორწილის გადახდა არ შეიძლებოდა). მოკლედ ეს მეტად საინტერესო საკითხია და მასზე ამომწურავ პასუხს ალბათ სხვადასხვა მეცნიერების (ეთნოგრაფია, თეოლოგია და ა. შ.) ერთობლივი კვლევა მოგვცემს.

პარასკევი ქართულ წარმართულ პანთეონში იუპიტერის და, საერთოდ, ტაროსის ღვთაება ვობის დღედ უნდა ყოფილიყო. ჯერჯერობით მასალების უქონლობის გამო ძნელდება ტაროსის ღვთაების— ვობის დაკავშირება ნიშან-ქორწილის რიტუალების დაწყების ტაბუირებასთან. რაც შეეხება ქრისტიანულ რელიგიას, მისი მიხედვით პარასკევი მარხვის დღეა და აქედან გამომდინარე ამ დღეს ნიშნისა თუ ქორწილის რიტუალის დაწყების მიუღებლობა სრულიად გასაგებია.

როგორც აღვნიშნეთ, ქართველ ხალხში ნიშნობისა და ქორწილის დაწყებისათვის ყველაზე სასურველ დღედ მიჩნეული იყო ხუთშაბათი. ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხუთშაბათი თითქოსდა ქალწულის დღედ იყო მიჩნეული და მას უკავშირებნენ ქალწულის თანავარსკვლავედს. როგორც ივ. ჯავახიშვილს აქვს გამოკვლეული, ქართულ წარმართულ პანთეონში „ხუთშაბათი დღის სახელში „ცა“ მნათობი აფროდიტეს აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო და ხუთშაბათი სამწერლობო ცნობის თანახმად აფროდიტესათვის ყოფილა განკუთვნილი“. (ივ. ჯავახიშვილი, თხ. ტ. I გვ. 179). აფროდიტე კი, როგორც ვიცით, სიყვარულის, ქალის სილამაზის, ყვავილოვანი გაზაფხულის ქალღმერთს წარმოადგენდა. იგი აბედნიერებდა ჭაბუკებსა და ქალიშვილებს; ითვლებოდა ქორწინებისა და ცოლქმრული ერთგულების მფარველ ღვთაებად. იქნებ ეს იყო მხედველობაში მიღებული მოსახლეობის მიერ, როცა ნიშან-ქორწილის დაწყების ყველაზე სასურველ დღედ ხუთშაბათი იქნა შერჩეული.

ნიშან-ქორწილის დაწყების დროის შერჩევისას საქართველოს ყველა კუთხეში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მთვარის ფაზების მდგომარეობას (მთვარე რომელ ფაზაში იმყოფებოდა). ხალხის გადმოცემით, ქორწილის დაწყება სასურველი იყო, როცა მთვარე აღვსების ფაზაში (სავსე მთვარე) იმყოფებოდა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ადამიანმა საკმაოდ ადრეული ხანიდანვე შეიგნო ის ფაქტი, რომ მთვარის ფაზების აღრიცხვის გარეშე სარისკო (შეიძლება ითქვას შეუძლებელიც კი) იყო არა თუ ხანგრძლივი, არამედ ხანმოკლე სახმელეთო თუ საზღვაო მოგზაურობა. დიდი ხნიდან უკვე ცნობილი გახდა, რომ საოკეანო დინებები ძლიერდება და ნელდება მთვარის ფაზების მიხედვით (დინება განსაკუთრებით ძლიერდება ახალი და ნახევარმთვარის ფაზებში). ვ. ლარიჩევის მითითებით, მთვარის ფაზების, მზისა და დედამიწის ურთიერთზემოქმედების მოვლენების აღრიცხვა და გამოცნობა ძველ საზოგადოებაში ეკონომიკის ოპტიმალური ორგანიზაციისათვის დიდ როლს თამაშობდა. სწორედ ამით უნდა იყოს გამოწვეული ბრინჯაოს ხანაში და უფრო ადრეც მთვარისა თუ მზის ობსერვატორიების შექმნა.

რა თქმა უნდა, ციური სხეულების მოძრაობაზე და მათ ფაზურ ცვლილებებზე (რასაც აუცილებლად მოსდევდა ცვლილებები დედამიწაზეც) დამკვირვებლებმა ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის მკაცრი სისტემა შეიმუშავეს. მოსახლეობის ფართო მასებისათვის ამ ცვლილებათა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი უცნობი იყო. აქედან გამომდინარე, მათ ყოველდღიურ ყოფაში მტკიცედ მხოლოდ ის ფაქტი დამკვიდრდა, თუ რა დროს რომელი მნათობის რომელ ფაზაში (მნათობთა ფაზური მოძრაობა მკაცრ რელიგიურ სამოსში იყო გახვეული) შეიძლებოდა ამა თუ იმ საქმიანობის დაწყება.

მნათობთა, კერძოდ კი მთვარის ფაზური მოძრაობის რელიგიური სამოსით შებურვის გამო, მისი ცალკეული ფაზა ამა თუ იმ მოქმედებას უკავშირდებოდა სხვადასხვა ხალხში. მაგალითად, შუამდინარეთში ახალი მთვარის ფაზა (პირველი ფაზა, როცა მთვარე არ ჩანს) გლოვის დღედ იყო მიჩნეული. ამ დროს იმქვეყნიური სამყაროს ძალები ბატონობდნენ. პალესტინაში, ვინაიდან მთვარის პირველ ფაზას მთვარის სიკვდილის პერიოდად მიიჩნევდნენ, იკრძალებოდა ყოველგვარი ქორწილი და სქესობრივი ურთიერთობა, ხოლო სავსე მთვარე მიჩნეული იყო სიმწიფის ასაკში შესულ ღვთაებად, რომლის განაყოფიერებელი ძალა მთელი სიძლიერით ვლინდებოდა. ამიტომ მთვარის ეს პერიოდი ყველაზე ხელსაყრელ დროდ ითვლებოდა ქორწილისათვის.

რელიგიურ-მითოლოგიური რწმენის გარეშეც ცნობილია, რომ საერთოდ მთვარის ფაზებთანაა დაკავშირებული მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

არსებული წერილობითი მონაცემებით ირკვევა, რომ ქართველი მეურნე სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას (თესვა, მკა, ხის მოჭრა და ა. შ.) სავსე მთვარეზე (აღვსების ფაზაში მყოფი მთვარე) იწყებდა. ხალხის რწმენით, სავსე მთვარე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს მცენარის ზრდაზე, უზრუნველყოფს კარგ მოსავალს და ა. შ. მათი ეს შეხედულება მთვარის ფაზების შესახებ ნაწილობრივ არ ყოფილა საფუძველს მოკლებული.

წლების განმავლობაში სხვადასხვა დარგის სპეციალისტების დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ გარკვეული სახის ორგანიზმებში (მცენარეული და ცხოველური) ყოველგვარი ცვალებადობისა და განვითარების ციკლი განსაზღვრულ სინქრონულ რიტმულობაშია მთვარის ცალკეულ (თითოეულ) ფაზასთან.

როგორც ჩანს, ეს კანონზომიერება მეურნის მიერ ხანგრძლივი ემპირული დაკვირვების შედეგად იქნა მიკვლეული. ბუნების ცალკეულ მოვლენაზე დაკვირვებამ მას შესაძლებლობა მისცა აღმოეჩინა და განესაზღვრა მეტ-ნაკლებად ხელსაყრელი დრო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სამუშაოს შესრულებისათვის. ბუნებრივ პროცესებზე დაკვირვების შედეგად მიგნებული კანონზომიერება საუკუნეების მანძილზე თანდათანობით ჩვეულებაში გადაიზარდა და მექანიკურად გავრცელდა ისეთ საქმიანობასა და ქმედებაზე, რომელთა შესრულებისას სრულიად არ იყო საჭირო მთვარის ფაზების გათვალისწინება. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ: 1) ქართველ ხალხში საქორწილო ნადიმისათვის წლის ამ პერიოდის (შემოდგომა) შერჩევას სამეურნეო ეკონომიკურთან ერთად კლიმატურ-ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებაც ედო საფუძვლად, რომელიც ისტორიულად, დიდ მდგრადობას ამჟღავნებდა და ნაკლებად რაიმე არსებით ცვლილებას. რა თქმა უნდა, გამორიცხული არ იყო სხვა მიზეზებიც.

2. კონკრეტულ თვეებში ქორწილის აკრძალვასაც უნდა ჰქონოდა თავისი გამამართლებელი მიზეზები, რომლებიც ძირითადად რელიგიური სამოსით იყო შებურვილი. აღნიშნული მიზეზების დასახელების დროს ჩვენ მხედველობაში გვაქვს შემდეგი ფაქტები: ა) ზამთრის პერიოდში ბაგურ კვებაზე გადასული საქონელი ძირითადად უხეში საკვებით იკვებებოდა, რის გამოც პირუტყვი თანდათანობით სუსტდებოდა. ამას ემატებოდა გაზაფხულის პერიოდში (მარტი, აპრილი, მაისი) საქონლის ორგანიზმში ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური ცვლილებები, რის შედეგადაც საქონლის ხორცის ხარისხიანობა მეტად ქვეითდებოდა და მისი საკვებად გამოყენება ერთგვარად მავნებელიც კი იყო ადამიანის ორგანიზმისათვის. ბ) ამავე დროს გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ძირითადად წელიწადის ამ დროისათვის ხდება საქონლის მოგება-გამრავლება. გარკვეული ხნის განმავლობაში (მოგებიდან ორი-სამი თვე) ახლად მოგებული საქონლის ხორცი მეტად უხარისხოა და მას საქართველოს რიგ რეგიონებში დღესაც არ იყენებენ საკვებად. გ) იქნებ სწორედ ამ დასახელებული მიზეზებიდან გამომდინარე შემოიღეს გაზაფხულის ხანგრძლივი (შვიდკვირიანი) მარხვა? ჩვენი ვარაუდით სწორედ ეს ერთ-ერთი და არა ერთადერთი ფაქტორი უნდა ყოფილიყო საერთო სხვადასხვა მარხვების შემოღებისა (აღნიშნულ საკითხს სპეციალური კვლევა სჭირდება, რაც ჩვენი წერილის ფარგლებს სცილდება).

3) ოთხშაბათსა და პარასკევ დღეებში ქორწილის დაწყების აკრძალვას, როგორც ჩანს, საფუძვლად რელიგიური ფაქტორი უნდა ჰქონოდა. რადგან ეს დღეები მიჩნეული იყო ყოველი კვირის მარხვის დღეებად. მარხვაში კი, როგორც ვიცით, ქორწილის გამართვა მიუღებელია.

4) მეტად საინტერესოდ გვეჩვენება ქორწილის რიტუალის დაწყებისას მთვარის ფაზების გათვალისწინება. როგორც აღვნიშნეთ, ძველთაგანვე მთელი რიგი სამეურნეო საქმიანობის დროს (თესვა, მკა, თიბვა და ა. შ.) დიდი ყურადღება ექცეოდა მთვარის ფაზებს, რადგან ამინდის ცვალებადობა მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია მთვარის ფაზების მონაცვლეობასთან. ძველ მეურნეს სწორედ ეს ურთიერთკავშირი ჰქონდა გათვალისწინებული, როდესაც ამა თუ იმ სამეურნეო საქმიანობას მთვარის ფაზების მიხედვით იწყებდა. სავსე მთვარეზე გარკვეული სამეურნეო საქმიანობის ამგვარ სისტემატიზაციას არ შეიძლებოდა ერთგვარი გავლენა არ მოეხდინა საოჯახო წეს-ჩვეულებებზეც, კერძოდ, ოჯახში ახალი წევრის ინკორპორაციის დროზეც. მთვარის აღვსების ფაზაში (სავსე მთვარეზე) ქორწილის გადახდის წესის დამკვიდრების ერთ-ერთი ფაქტორი სწორედ ეს უნდა ყოფილიყო

თინა ივალაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წერილები რედაქციას

## პატივცემულო რედაქტორო!

**თქვენი** გაზეთის 1991 წ. 26 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულია წერილი სათაურით „გავტეხოთ ციხე შიგნიდან?!“, სადაც რამოდენიმე „უზუსტობაა“ დაშვებული ჩემს მიერ გაზეთ „დემოკრატიჩესკაია როსიასთვის“ (1991 წ. 12 აპრილი, № 4) მიცემულ ინტერვიუს განხილვისა და შეფასებისას. წერილში ნათქვამია: „...ბატონმა ჭაბუამ გორბაჩოვს ურჩია („მეგაპოლის-ექსპრესში“ გამოქვეყნებული წერილის მეშვეობით) დათანხმდეს საბჭოთა კავშირის კონფედერაციად გარდაქმნაზე...“ და შემდეგ „...რა უნდა ვუთხრათ პატივცემულ ქართველ ინტელიგენტს, რომელიც საკუთარი ქვეყნის პრეზიდენტს ექსტრემისტთა შორის გულისხმობს, ხოლო უცხო ქვეყნის პრეზიდენტს მეგობრულ რჩევებს აძლევს, ზრუნავს იმპერიის გაკეთილშობილებაზე“.

ჯერ ექსტრემისტობისა ვთქვათ. წერილის ავტორს მინდა ვაცნობო, რომ ექსტრემისტობა სისხლის სამართლის დამნაშავეობას არ ნიშნავს. უცხო სიტყვათა ყველა ლექსიკონით „ექსტრემისტი — ექსტრემიზმის მომხრე უკიდურესი შეხედულებების მქონე, უკიდურესი ზომების მომხრე“ პირია. პირადად მე ვამაყობ, რომ ყრმობიდანვე ექსტრემისტი ვარ, რუსეთის იმპერიის დანგრევას სიტყვითა და საქმით ვლამობ. ამაზე უკიდურესი მიზანიც არსებობს? ვფიქრობ, ჩვენი პრეზიდენტიც მთელი სიცოცხლე ამ პოზიციაზე იდგა, დღესაც დგას და წერილის ავტორის გამოსარჩლებას არ საჭიროებს.

„მეგაპოლის-ექსპრესმა“ „ლიტერატურული საქართველოდან“ 1991 წ. 15 მარტის ნომერი) გადაბეჭდა ჩემი „ღია წერილი სსრკ პრეზიდენტს“. არც ერთ, არც მეორე გაზეთში არ არის ნახსენები სიტყვა „კონფედერაცია“ ისევე, როგორც „დემოკრატიჩესკაია როსიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში. სუვერენული სახელმწიფოების კონფედერაცია სხვაგან და სხვა მიმართებით არაერთხელ მაქვს ნახსენები, ვინაიდან მიმაჩნია, რომ ჩვენს ეპოქაში ცივილიზებული ერის პროგრესი თვითიზოლაციის პირობებში გამორიცხულია, მაგრამ რა შუაშია აქ „მეგობრული რჩევა?“

ღია წერილში ლაპარაკია იმაზე, რომ „განახლებული კავშირი“ და „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება“ მკვდრადშობილი იდეებია! ამასთან ერთად მოყვანილია მიზეზები, თუ რატომ არ მოაწერს ხელს რესპუბლიკების დიდი ნაწილი ახალ ხელშეკრულებას, რომელიც „ძველზე კაბალურია“ — რვა არგუმენტი (იხ. „ღია წერილი“). რატომ უნდა ჩაითვალოს „მეგობრულ რჩევად“ ფრიად საფუძვლიანი მტკიცება, რომ სსრკ პრეზიდენტი გაკოტრებულია? განხილულია, აგრეთვე, ის პირობებიც, რომელთა უზრუნველყოფის შემთხვევაში „**იმ რესპუბლიკებმა, რომლებსაც ახალი ფორმის კავშირში სურთ ინტეგრირება...**“, შესაძლოა, ხელი მოაწერონ მოკავშირეობაზე, ხოლო, „რაც შეეხება ქართველ ხალხს, მას არც ასეთი გაერთიანება აძლევს ხელს და წართმეული დამოუკიდებლობის აღდგენისთვის იბრძვის“ (იხ. „ღია წერილი“).

ერთი სიტყვით, „რა უნდა ვუთხრათ...“ პატივცემულ ავტორს, თუ მას ცილისწამება აურჩევია თვითდამკვიდრების საშუალებად?!

**ჭაბუა ამირეჯიბი**
**თბილისი, 30.04.91.**

**რედაქციისაგან:** ცნობილი ქართველი მწერლის, ბატონ ჭაბუა ამირეჯიბის წერილს მოკლე კომენტარს დავურთავთ.

ბატონი ჭაბუა აცხადებს, რომ გაზეთ „დემოკრატიჩესკაია როსიასთვის“ (12.IV, № 4 (10), 1991) მიცემულ ინტერვიუში არ უხსენებია სიტყვა „კონფედერაცია“. საოცარია, ნუთუ მან ერთხელ მაინც არ გადაიკითხა საკუთარი ინტერვიუ?! ვბეჭდავთ ციტატას — „У Горбачева остался один шанс — срочно перестроитсья и согласитсья на конфедерацию“ (გვ. 10, სვეტი 5, სტრიქონი 26-28). საერთოდ, როცა ამა თუ იმ პიროვნების სახელით რაიმე ქვეყნდება, სასურველია მან გულდასმით წაიკითხოს პუბლიკაცია, ეს მრავალ უხერხულობას აგვაცილებს თავიდან.

რაც შეეხება ბატონ ჭაბუას ექსტრემისტობას (იგი თურმე ამაყობს, რომ ყრმობიდან ექსტრემისტია, რადიკალური ზომების მომხრე), თუ ეს მართლაც ასეა, როგორ მოხდა, რომ იგი დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა საზოგადოებამ „თანხმობა და აღორძინება“, რომელიც, როგორც თვითონ ამბობს, წინააღმდეგია რადიკალური მეთოდიკის?! ვბეჭდავთ ციტატას — Да, меня выдвигало общество «Согласие и возрождение», это общество интеллигенции, выступоющее против радикольной методики» (გვ. 10, სვეტი 3, სტრიქონი 57-61). ნუთუ ბატონმა ჭაბუამ საკუთარი მრწამსი ინტელიგენტების პოლიტიკურ გაერთიანებას არ გაუმხილა?!

ბატონი ჭაბუას მტკიცება, რომ ტერმინი „ესქტრემისტი“ თავისთავად ცუდს არაფერს გულისხმობს, მართლაც გასაოცარია. ნუთუ პატივცემულ ქართველ მწერალს არ მოეხსენება ეს სიტყვა ჩვენს საზოგადოებაში დღევანდელ დღეს რა აზრით იხმარება?!

...მკითხველმა თავად განსაჯოს, რამდენ მართალია ბატონი ჭაბუა, როდესაც ჩვენი გაზეთის კორესპონდენტზე წერს — „ცილისწამება აურჩევია თვითდამკვიდრების საშუალებად“. ისე კი, უცნაურია, რატომ ჰგონია პატივცემულ ჭაბუას, რომ მისი მისამართით გამოთქმული გულისწყრომა საკმარისია იმისთვის, რომ კაცმა სახელი გაითქვას, თავი დაიმკვიდროს?!

მაგრამ ყველაზე მეტად საკვირველი და განსაცვიფრებელი სხვა რამაა. როგორ შეიძლება დავიჯეროთ, რომ ქართველ ინტელიგენტებს არ ესმით, მათ მიერ ვითომცდა დემოკრატიის დაცვის მიზნით ნათქვამი ყოველი სიტყვა დღეს ჩვენი მტრის აგრესიული ზრახვების განხორციელებას ემსახურება ჩვენს ქვეყანაში. ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ მათი მოქმედება კრემლს აძლევს ხელს, ნიადაგს ამზადებს იმისთვის, რომ იმპერიამ „დიქტატურისაგან“ ჩვენი ხსნის საბაბით კიდევ ერთხელ დაგვარბიოს, დაგვაქციოს, გაგვწყვიტოს?! პატივცემულო ინტელიგენტებო! ნუთუ ისეთი გულუბრყვილოები ხართ, რომ გგონიათ, რუსეთი მხარში ამოუდგება თქვენს „წმინდა“ ბრძოლას დემოკრატიისა და სამართლიანობისათვის და დამოუკიდებლობასაც აღგიდგენთ, დემოკრატიასაც დაგიმკვიდრებთ და ეკონომიკურადაც გაგიმართავთ ხელს? ან რა აზრი აქვს უცხოელებთან წამდაუწუმ ჩივილს — საქართველოში დიქტატურაა, საქართველოში ექსტრემიზმი მძვინვარებს?! ნუთუ გგონიათ, რომ უცხოელები დაგეხმარებიან? როგორ?! ნახევარი ქვეყანა დაგვენგრა და საერთაშორისო წითელი ჯვრის ორგანიზაცია აცხადებს, სანამ სსრკ არ დაგვრთავს ნებას, საქართველოს ვერ მოვეხმარებითო. იცოდეთ ბატონებო, უცხოეთის ერთადერთი დახმარება, რომელიც თქვენს ჩივილს შეიძლება მოჰყვეს, ესაა წითელი არმიის „დახმარება“, ანუ საქართველოს ხელახალი დაპყრობა! ხოლო თქვენი მეცადინეობა იქითკენ არის მიმართული, რომ დასავლეთი ამას ტაშის კვრით შეხვდეს.

არც ისე გულუბრყვილონი ვართ, რომ თქვენი გულუბრყვილობისა გვჯეროდეს.

## ლტოლვილთ მოეხმარდეს

**როდესაც** ითქვა, სამაჩაბლოში სვანები ჩავასახლოთო, მათთვის სოფელი გავაშენოთო და გამოაცხადეს სამაჩაბლოს აღორძინების ფონდის ანგარიშის ნომერი, ბევრმა, სამაჩაბლოში მცხოვრები ქართველების ინტერესებიდან გამომდინარე, გამოიჩინა გულმოწყალება და გადარიცხა თანხა დღეს ყოვლად ავტორიტეტდაკარგულ ე. წ. დამოუკიდებელი კომპარტიის მიერ შექმნილ ფონდში.

სამაჩაბლოს აღორძინების ფონდი ანგარებით — ქართველი ხალხის მოსყიდვის მიზნით რომ არ იყოს შექმნილი (რომ როგორმე ისევ გაძლიერდნენ და თავიანთ დამფინანსებელ ძიძას შეუნარჩუნონ საქართველო), დღეს, როდესაც ყველა ხედავს, ცენტრის მფარველობაში მყოფი, ცენტრის მიერ წაქეზებული ოსი ექსტრემისტები როგორ იბრძვიან სამაჩაბლოს წასართმევად, როგორ ხოცავენ სამაჩაბლოში მცხოვრებ ქართველებს და მათ დამცველთ, როგორ გაივსო სასტუმროები ლტოლვილებით, თანხა, რომელიც გადარიცხული არის სამაჩაბლოს ინტერესებიდან გამომდინარე, დაბანდებული კი არ იქნებოდა, მოახმარდნენ ლტოლვილთ.

ყველას, ვისაც გადარიცხული გაქვთ თანხა სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში, მოგიწოდებთ, სამაჩაბლოს აღორძინების ფონდის შემქმნელთ მოსთხოვოთ, რომ თქვენს მიერ შეტანილი თანხა გადარიცხონ ეროვნული თავდაცვის ფონდში. ჯერ ვიზრუნოთ ჩვენი მიწაწყლის შესანარჩუნებლად, შევუნარჩუნოთ სიცოცხლე მათ, ვისაც ასე უმოწყალოდ ხოცავენ საქართველოს ხიზნები. და მერე ვიფიქროთ სამაჩაბლოს აღორძინებისათვის.

იმედია გულგრილნი არ დარჩებით ჩემს მოწოდებასთან დაკავშირებით.

**ხარა ქალიაშვილი**

## მე უნგრეთში რა მინდოდა...

**1956 წლის** შემოდგომაზე სამხედრო ბეგრის მოხდის ვადამ მომიწია. რუსეთის იმპერიის ჯარში წასვლის სურვილი არასოდეს მქონია. 9 მარტის თბილისის ხოცვაჟლეტის შემდეგ ფორმიანი ჯალათების დანახვაც კი მზარავდა. უწყებით მალი-მალ მიხმობდნენ, მაგრამ არ ვცხადდებოდი. ბოლოს ეპოლეტებიანი კაცები შინ მეახლნენ, მტაცეს ხელი და რუსის სალდათში მიკრეს თავი.

17 ოქტომბერს ნავთლუღის სადგურში მიგვიყვანეს და ოფიცრებს თვლით ჩაგვაბარეს. რქოსანი პირუტყვის გადასაყვანი ეშელონი ბაქანზე ჩამომდგარიყო. საბჭოთა არმიის ახალი შევსება შიგ შეგვრეკეს და კარს გარედან ურდული დაადეს. ეშელონი რვის ნახევარზე დაიძრა, სვლას უმატა და ბაქოსკენ აიღო გეზი. 6 დღე-ღამე ფიცრებზე ტანგაუხდელად ვეყარეთ. დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ, როგორც იქნა, დროგობიჩის ოლქის ქ. შოსტიკაში ჩავედით.

კუნაპეტი ღამე იდგა. ძლიერი ქარი უბერავდა. მანქანებს ვინ გვაღირსებდა და 8-კილომეტრიან გზას ნაწილისაკენ ფეხით გაგვაყენეს.

ნახევარზე მეტი რომ გავიარეთ, წინიდან გრიალი შემოგვესმა, „სტოიო“ დაიღრიალეს ოფიცრებმა და რას ვხედავთ: ტანკების უშველებელი კოლონა მოდის ანთებული ფარებითა და სირენების საშინელი წივილით. საათზე მეტი ფეხზე ვიდექით. რუსეთის იმპერიის რჩეული ჯარი ტანკებზე ამხედრებულიყო და სრული სისწრაფით „ოქტომბრის აჯანყების ჩასახშობად“ უნგრეთში მიგრიალებდა, 16 დეკემბერს „სამხედრო ფიცს“ ქაღალდზე მოგვაწერინეს ხელი. უფროსობამ „ისტორიული დღე“ მოგვილოცა და გვაუწყა: „დღეიდან სამშობლოს დამცველები ხართ, სადაც სოციალისტური სამშობლო გიბრძანებთ, თქვენი ადგილიც იქ არისო.

„სამშობლოს“ მალე დაუდგა „გასაჭირი“. ახალი წლის 3 იანვარი გათენდა. ახალთახალი, ტაოტიანი კარაბინები სასწრაფოდ ჩამოგვირიგეს, საბარგო ვაგონებში შეგვრეკეს და შორეულ გზას გაგვაყენეს.

ოფიცრებს ენა ჩავარდნოდათ. კრინტსაც არავინ ძრავდა. „ნე პოლოჟენო, ვოენნაია ტაინა“ არისო, სად მივყავდით, არ გვეუბნებოდნენ. „სამშობლოს დამცველთა“ ეშელონი სასაზღვრო ქ. ჩოპში დღისით ჩავიდა. სადგურში შეგვიყვანეს, გარეთ არ გვიშვებდნენ. ხალხს არ უნდა სცოდნოდა, სად მიგვერეკებოდნენ. კარგად რომ დაღამდა, სამგზავრო ვაგონებში შეგვყარეს. აქ მისახვედრი რაღა იყო? ხრუშჩოვი — რუსეთის უბადრუკი ხელმწიფეიმპერატორი, ახალ საოკუპაციო ჯარებს „სოციალიზმის დასაცავად“ უნგრეთში მიერეკებოდა. ეშელონი მდინარე ტისასთან საზღვარზე გაჩერდა. საბჭოთა ჩეკისტები ვაგონებში შემოცვივდნენ და ბარგი-ბარხანით ძირს ჩამოგვყარეს. ზოგი ვაგონის კიბეებზე დიდგა. იქაურობას მძლავრი პროჟექტორებით ანათებდნენ. საბარგო ტომრები გახსნითო, გვიბრძანეს. ანთებული ფარნებითა და ავტომატებით საზღვრის დამცველებმა ალყაში მოგვაქციეს და ჩხრეკას შეუდგნენ. სალდათებს „საბჭოთა ვალუტა“ ან სხვა კონტრაბანდა არ მიქონდეთო. რა უნდა ენახათ, გაჭვარტლული ნიფხავ-პერანგისა და ცარიელი „კატელოკის“ მეტი არაფერი გამაჩნდა. გულდაგულ გაგვჩხრიკეს. ფეხზეც გაგვახდევინეს. სალდათის წიგნაკებიც ჩამოგვართვეს. ფარანს თვალებში გვანათებდნენ, გვარს გვეკითხებოდნენ და წიგნაკში ჩაკრულ სურათებს უყურებდნენ. „შპიონები“ არ გადაგვეპაროსო საზღვარზე.

საზღვრის დამცველებმა ჩვენში „შპიონი“, რომ ვერ აღმოაჩინეს, სათითაოდ უკანვე ვაგონებში შეგვრეკეს. 6 იანვარს დილით ბუდაპეშტში ჩავედით. სადგურზე ხალხი ბუზივით ირეოდა. ოკუპანტებს დაუფარავი ზიზღით გვიყურებდნენ, ვგრძნობდი, რომ ქალი თუ კაცი წყევლა-კრულვასა. და გინებას გვითვლიდა. იმპერიის ავიაციასა და არტილერიას ბუდაპეშტში დაებომბა, ულამაზესი ქალაქი ნანგრევებად ექცია. შენობები ტყვიებით იყო დაცხრილული, ქუჩები — გადათხრილი.

ადგილსამყოფელი არტილერიის აკადემიაში მოგვიჩინეს. ვის არ ნახავდით აქ: არტილერისტებსა და ტანკისტებს; ფეხოსნებსა და მესანგრეებს; მოკავშირეებსა და მეზღვაურებს. შენობა საოკუპაციო ჯარებით იყო სავსე.

მთელი თვე ტანგაუხდელად ლეიბებზე ვეყარეთ. კარაბინები თავქვეშ გვედო. ჩექმების გახდა სასტიკად აკრძალული გვქონდა. ეზოში ტანკებისა და ზარბაზნების ტევა აღარ იყო. დამწვარი და დაზიანებული ტექნიკაც იქვე მიეყარათ. უგნურელ პატრიოტებს რაც შეეძლოთ, ის გაეკეთებინათ.

ყოველ დილით მაღალი რანგის პოლიტიკური კომისრები ლექციებს გვიკითხავდნენ: „უნგრეთის მთავრობამ გვიღალატა, კონტრრევოლუციონერებმა სოციალისტური ბანაკიდან გასვლა მოინდომეს, საბჭოთა არმიამ გერმანელი ფაშისტებისაგან გაათავისუფლა უნგრეთი, ნეოფაშისტებს სოციალისტური ბანაკიდან ჩვენი გასვლა და კაპიტალიზმის გზაზე დადგომა უნდოდათ. უნგრეთის მთავრობამ (საკითხავია რომელმა) სსრკ-ს დახმარება სთხოვა. ჩვენ, როგორც ინტერნაციონალისტები და ვარშავის ხელშეკრულების წევრი სახელმწიფო, იანოშ კადარს დავეხმარეთ. მოვიხადეთ ჩვენი ვალი. ეს მთელმა კაცობრიობამ უნდა იცოდეს“ (?!).

ბოლშევიკების საბჭოთა არმია იმ დროს უკვე გვარიანად იყო გახრწნილი: ძარცვა, ქურდობა, ლოთობა, „დედოვშჩინა“, ოფიცრების სადისტობა აღარავის უკვირდა. ჩვენ, რკინიგზის ჯარის ნაწილს, ბუდაპეშტში რკინიგზისა და დატვირთული ვაგონების დაცვა გვევალებოდა. სადგურის პატრულიც საბჭოთა ჯარისკაცებისაგან შედგებოდა. ერთხელ, პატრულირების დროს შეშინებული უნგრელი რკინიგზელები მოცვივდნენ. დამტვრეული რუსულით მოგვმართეს: „თქვენი სალდათები ვაგონებს ტეხავენ“ო. გავიქეცით, რომ დაგვინახეს, იქიდან მოკურცხლეს. ამ საცოდავ, დამშეულსა და გაუერანებულ საბჭოთა ჯარისკაცებს ტყვიას ხომ არ ვესროდით. ხორცი, ძეხვი და ვაშლი მოეპარათ. საექსპორტოდ გასაგზავნი ტანსაცმელიც გაეტაცათ. რა უნდა. გვეთქვა. უნგრელებმა გვარიანად შეგვიკურთხეს, ვაგონები დაკეტეს, დალუქეს და სწრაფად გაგვეცალნენ.

იანვრის ბოლო დღეები იყო. სამწყობრო მეცადინეობიდან ვბრუნდებოდით. დიდი პატივი დამდეს, წითელი ალმით ხელში ასეულის უკან მივაბიჯებდი. ტრანსპორტი გავაჩერეთ და ტრასაზე გადავედით. ორი სიტყვა უნგრულ ენაზე ვიცოდი, ქუჩაში მიმავალ უნგრელ ქალიშვილს თავის ენაზე დაველაპარაკე: „სერბუშ, კაშლან“ (გამარჯობა, ქალიშვილო!) გაბრაზებულმა ქალიშვილმა რუსის ენაზე მიპასუხა: „ჩტო ხატიტე ოტ ნას, მი ვსორავნო პობედიმ, ვაშ კონეც პრიდიოტ სკორო“.

ვუთხარი რომ ქართველი ვარ და ჩემი სამშობლოც რუსეთის იმპერიის დაპყრობილი ჰყავს. ჩვენ ორივე ერთ დღეში ვართ. ეს ქალი ქ. ჩოპიდან ყოფილა და ახლა აქ ცხოვრობდა. ნაწილში მივედი თუ არა, სასწრაფოდ შტაბში გამომიძახეს. სუკის აგენტურა ოპერატიულად მუშაობდა. ჩია ტანის ოფიცერმა „თავაზიანად“ მიმიღო, ახსნა-განმარტება მომთხოვა. „მოვახსენე“ რაც იყო. არ დამიჯერა. უცბად გველნაკბენივით ფეხზე წამოვარდა და აღრიალდა: „გიცნობთ ქართველებს რა ხალხიც ხართ, ვარკუტაში გიკრავ თავს, ციხეში ამოგალპობ!“ თეთრ დათვებთან, ვარკუტაში გასაგზავნი ვინც იყო, მე კარგად ვიცოდი, მაგრამ რა უნდა მექნა, ძალა მათ მხარეზე იყო. სამი დღე და ღამე მიბარებდა იმპერიის ეს უტვინო მსახური. ყველა საშუალებით ცდილობდა „საქმის გახსნას“. ის ქალი დავიჭირეთ, ყველაფერი აღიარა, შენ ახლა მხოლოდ სიმართლის თქმა გიშველის, სასჯელი შეგიმსუბუქდებაო.

გამეცინა. ამაზე მთლად გადაირია ის წყეული ჯალათი. გაცოფდა, თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა, პირიდან დორბლებს ყრიდა. კუდებიც მომიჩინა. იარაღს აღარ მენდობოდნენ, საპატრულოდ აღარ მიშვებდნენ. მიშობდნე, იარაღით „აჯანყებულთა“ მხარეს არ გადავიდესო.

სკვითების შთამომავალმა „საქმე მაინც ვერ გახსნა“. მონღოლოიდური რასის არამზადამ სამაგიეროდ გადამიხადა — 10 დღე-ღამით ჰაუპტვახტში ჩამსვეს. სულ არც მეორე დავეიწყებივარ — ჩემს პირად ბარათში ჩაეწერათ: „ტრებუეტ სისტემატიჩესკი კონტროლ ზა პოვედენიე“ — ჩემში პოლიტიკურად არასაიმედო კაცს ხედავდნენ. ჟანდარმერიაში ხშირად მიბარებდნენ და რომელ ნაწილშიც ვიყავი, კუდები ყველგან დამდევდა.

მაღალი ღმერთია მოწმე — უნგრეთში ყოფნისას იარაღი არავისთვის მისვრია. არც ავაზაკობა და სიბილწე ჩამიდენია. ახრულდა იმ უნგრელი ქალიშვილის დიდი ხნის ოცნება: 1989 წლის ბოლოს უნგრელმა ხალხმა თავისუფლება ბრძოლით მოიპოვა — რუსის საოკუპაციო ჯარმა უნგრეთი დატოვა.

1991 წლის 25 თებერვალს ე. წ. „ვარშავის ხელშეკრულების პაქტიც“ დაიშალა.

**რობერტ კოპაძე**
**გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ ეროვნული გვარდიის ფონდში.**



# თრდატი

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ვარაზ-ბაქარის გარდაცვალების შემდეგ ქვეყანა მეფის გარეშე დარჩა, რადგან ვარაზ-ბაქარის შვილები მცირეწლოვანნი იყვნენ — „ვერ იპყრობდეს მეფობასა“. ქართლის დიდებულები, წარჩინებული პირები შეიკრიბნენ, „ზრახვა ყვეს“ და ქართლის სამეფო ტახტზე „დასუეს სიმამრი ვარზა-ბაქარისი მეფედ, რევის ძე, ძის წული მირიანისი, კაცი მოხუცებული, სახელით თერდატ“ (IV ს. 80-90 წლები). არ უნდა ვიფიქროთ, რომ თრდატი რეგენტის როლს ასრულებდა, იგი სრულუფლებიან მეფედ აკურთხეს, „და მისცეს შვილნი ვარზა-ბაქარისნი საზრდოდ, ასულისა წულნი“. ლეონტი მროველის გადმოცემით, თრდატი ქართლის ღირსეული ხელმწიფე ყოფილა — „ხოლო მეფობდა ესე თერდატ, მოხუცებული ქეთილად, იყო კაცი მორწმუნე, ბრძენი და გონიერი. ამან სიბრძნისათა ჟუისითა დაამშვიდნა სპარსნი, გამოაჩინნა ჯუარნი და შეჰკაზმნა ეკლესიანი... და ხარკსა მისცემდა სპარსთა მეფესა. ხოლო მან გამოილო რუსთავი და აღაშენა ეკლესია, და მანვე აღაშენა ეკლესია ნეკრესისა. და მეფობდა უშფოთველად. და მოკუდა სარწმუნოებასა შინა დიდსა“.

IV საუკუნის ბოლოს ქართლის პოლიტიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. 387 წელს რომის იმპერიამ და სპარსეთმა ზავი შეკრეს, რომლის თანახმადაც, სომხეთს რამდენიმე განაპირა ოლქი საერთოდ ჩამოსცილდა, დარჩენილი ნაწილი კი — შუა ქვეყანა — ბიზანტიელებმა და ირანელებმა გაიყვეს, სომხეთის ოთხი მეხუთედი სპარსეთს ერგო. ქართლის სამეფო ირანს ემორჩილებოდა, ხარკს უხდიდა, სპარსელებმა ამიერკავკასიაში მტკიცედ და დიდი ხნით მოიკიდეს ფეხი (ამ დროს დაიშალა სომხეთის ერთ-ერთი უდიდესი ოლქი, გუგარქის საპიტიახშო. მისი ჩრდილოეთი რაიონები ქართლში შევიდა, სამხრეთის სამი რაიონი კი — ტაშირი, კანგარქი და აშოცი, სომხეთის შემადგენლობაში დარჩა. რამდენიმე საუკუნის შემდეგ ისინიც შეუერთდნენ ქართლს. გუგარქის საპიტიახშო ის გოგარენეა, რომელიც, სტრაბონის ცნობით, სომხეთმა ქართლს ქრისტეს დაბადებამდე II საუკუნეში ჩამოაჭრა).

უნდა აღინიშნოს, „მოქცევაი ქართლისაის“ მატიანეს მეფეთა სხვაგვარი ნუსხა აქვს დაცული, რომლის მიხედვით, ვარაზ-ბაქარის შემდეგ გამეფებულა ბაკური და არა თრდატი. „ქართლის ცხოვრება“ („მეფეთა ამბავი“) ქართლის ქრისტიანი მეფეების ასეთ თანამიმდევრობას იძლევა: მირიან-ბაქარ-მირდატ-ვარაზ-ბაქარ-თრდატ-ფარსმან... „მოქცევაი ქართლისაი“ კი ასეთს: მირიან-ბაკურ-თრდატ-ვარაზ-ბაკურ-ბაკურ-ფარსმან... (ისტორიკოსები „მოქცევაი ქართლისაის“ მეფეთა ამ სიას გარკვეულ უპირატესობას ანიჭებენ. თუ ეს ნუსხა უფრო სწორია, მაშინ, IV ს. 80-90 წლებში ქართლის მეფე ყოფილა ბაკური, რომელიც პეტრე იბერის ასურულ ცხოვრებაში მოხსენიებულია, როგორც პეტრეს პაპა დედის მხრიდან. ბაკურის დროს გრძელდებოდა ირანელთა ბატონობა. პეტრე იბერის ცხოვრებაში ნათქვამია, რომ მეფე ბაკური ერთ-ერთ ომში ხლებია ირანის შაჰს).

თრდატის (ან ბაკურის) გარდაცვალების შემდეგ „დაჯდა მეფედ ძე ვარზა-ბაქარისი, ძისწული ფეროზისი, სახელით ფარსმან, რამეთუ იგი უხუცესი იყო ძმათა მისთა“.

მოამზადა
**ირაკლი ლომოურმა**

**ლადო ტატიშვილის** ნახატი

# საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკონი

## ინტელიგენცია

ტერმინი „ინტელიგენცია“ გაჩნდა რუსეთში, გასული საუკუნის 70-იან წლებში. ეს სიტყვა პირველად იხმარა მწერალმა პ. ბობორიკინმა თავის ერთ-ერთ სტატიაში. სიტყვა ლათინური წარმოშობისაა და ევროპაში იხმარებოდა ზოგადად ინტელექტის შინაარსით.

„ინტელიგენცია“ დასავლურ სოციალურ მეცნიერებაში და ლიტერატურაში იშვიათად იხმარება, უფრო გავრცელებულია „ინტელექტუალი“ ან „სპეციალისტი“. ზოგად და სპეციალურ ლექსიკონებში ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში შეაღწია „ინტელიგენციამ“. მაგალითად, ოქსფორდის ლექსიკონში 20-იანი წლების ბოლოს მოხვდა და ასეა განმარტებული: „ერის ნაწილი, რომელიც დამოუკიდებელი აზროვნებისაკენ ისწრაფვის (რუს.)“ 1966 წელს გამოცემული ამერიკული ვებსტერის ლექსიკონის მიხედვით ინტელიგენცია არის „განათლებულ ადამიანთა კლასი, რომელიც განსაკუთრებული და თვითშეგნებით გამოყოფილი სტრატაა (ფენაა, ნ. კ.) ერის შიგნით და რომელიც აზორციელებს ან თავის თავს მიაწერს ინტელექტუალური, სოციალური ან პოლიტიკური ლიდერობის როლს“. კიდევ სხვა ლექსიკონებში ხშირად შეხვდებით ასეთ განმარტებებს: „სპეციალისტები, განსაკუთრებით — ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში“, „გონებრივი შრომის ადამიანები“ და სხვა. ინტელიგენციის სინონიმად „ინტელექტუალების“ და „სპეციალისტების“ გარდა ხშირად იხმარება „აკადემიურად განათლებულები“, „ელიტა“ და ა. შ.

სპეციალურ ლიტერატურაში ინტელიგენციის ცნების არაერთი განმარტებაა. ძირითადად მაინც ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს ეს განმარტებები: პირველია დასავლური, თავისუფალი სამყაროს სოციალურ მეცნიერებაში მიღებული გაგება და განმარტებები, ხოლო მეორე — საბჭოური იდეოლოგიური ზონის საზოგადოებრივ მეცნიერებაში მიღებული გაგება და განმარტებები. გავეცნოთ მათ შინაარსს მოკლე შესავლის შემდეგ.

ყოველ საზოგადოებას აქვს თავისი სოციალური სტრუქტურა, ურთიერთდაკავშირებული სოციალური ჯგუფების ერთობლიობა. მაგალითად, გაბატონებული საბჭოური იდეოლოგიური დოქტრინით საბჭოთა საზოგადოების სოციალური სტრუქტურა შედგება მუშათა კლასისგან, გლეხობისგან და ინტელიგენციისგან. ამ სამი დიდი სოციალური ჯგუფიდან მთავარი როლი აქვს მინიჭებული მუშათა კლასს. მისი მოკავშირეები არიან კოლმეურნე გლეხობა და სახალხო ინტელიგენცია. ე. ი. ჩვენთვის საინტერესო ინტელიგენცია არის საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. ამავე დოქტრინიდან გამომდინარე იგი არ არის კლასი და არის სახალხო. თუ კლასი არ არის, მაშ რა არის? უმჯობესია საბჭოურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლექსიკონებში ჩავიხედოთ. ამ ლექსიკონებში პრინციპულ განსხვავებებს ვერ ნახავთ ამ ცნების განმარტებებში. გავრცელებული განმარტება კი ასეთია: ინტელიგენცია არის ადამიანთა სოციალური ფენა, რომელიც პროფესიულად დასაქმებულია გონებრივი (უპირატესად — მაღალკვალიფიციური) შრომით. რატომ არ არის ინტელიგენცია კლასი? სპეციალურ ლიტერატურაში ეს ასეა ახსნილი: ინტელიგენციას დამოუკიდებელი მდგომარეობა არ უკავია საკუთრების ფორმებთან დამოკიდებულებაში და სხვადასხვა კლასებისგან და ფენებისგან იქმნება. ხოლო რაც შეეხება ინტელიგენციის წინ დამატებულ „სახალხოს“, საბჭოთა მეცნიერები ფიქრობენ, რომ სახალხო ინტელიგენცია მხოლოდ სოციალისტური ინტელიგენციაა. საინტერესოა, სახალხო არ იყო ინტელიგენცია იგივე რევოლუციამდელ რუსეთში ან სხვაგან? ხალხს არ ემსახურება ინტელიგენცია ან ისინი არ იყვნენ ხალხის განმანათლებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივისტები? ხოლო მათ შორის კონსერვატორები და არაპროგრესული ძალებიც თუ არიან, ეს ბუნებრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. ისევე, როგორც სხვა კლასები და ფენები, ინტელიგენციაც არაერთგვაროვანია.

საბჭოთა მეცნიერებს საზოგადოების კლასებად დაყოფის მთავარ ნიშნად მიაჩნიათ საკუთრებისადმი დამოკიდებულება, რასაც დასავლური სოციოლოგია იგნორირებს. კლასებს, სოციალურ ფენებს და ჯგუფებს ისინი ყოფენ ისეთი მახასიათებლების მიხედვით, როგორიც არის განათლება, დასაქმებულობა, შემოსავალი, საყოფაცხოვრებო პირობები, ფსიქოლოგია და ა. შ. საზოგადოების დაყოფის ორი ძირითადი კრიტერიუმი აქვთ: 1. ერთგანზომილებიანი დაყოფა, როდესაც ჯგუფი განისაზღვრება ერთი, რომელიმე ნიშნის მიხედვით და 2. მრავალგანზომილებიანი დაყოფა, როდესაც ჯგუფი განისაზღვრება ნიშანთა გარკვეული ერთობლიობით.

დასავლური საზოგადოება სულაც არ არის დაყოფილი ე. წ. ანტაგონისტურ კლასებად — ბურჟუაზიად და პროლეტარიატად, როგორც ამას გვარწმუნებდნენ სოციალიზმისა და საბჭოთა იმპერიის მეხოტბენი. პირიქით, საბჭოთა საზოგადოება ხდება სულ უფრო და უფრო პოლარიზებული. „მისი აღმატებულება მუშათა კლასი“, რომელსაც ყველაზე პრივილეგირებულ კლასად გვიხატავდნენ, დღეს თავისი უფლებების და არსებობის დასაცავად იბრძვის პარტოკრატიის წინააღმდეგ „მუშათა და გლეხთა სახელმწიფოში“. ხოლო „ლპობადი კაპიტალიზმი“ სოციალური სტაბილურობისა და საკმაო ჰარმონიის პირობებში აგრძელებს ცხოვრებას.

როგორც წამყვანი დასავლელი სოციოლოგები ამტკიცებენ, თანამედროვე ე. წ. კაპიტალისტურ საზოგადოებაში კლასები აღარ არსებობენ. ისინი გაქრნენ და თან გაიყოლეს ექსპლოატატორებიც და ექსპლოატირებულნიც. საზოგადოების სოციალური სტრუქტურისადმი მიძღვნილ სპეციალურ ლიტერატურაში ჩვეულებრივ იხმარება ტერმინი „სტრატა“ ანუ ფენა. ტერმინ „კლასს“ ხმარობენ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი მარქსისტული გაგება აქვთ მხედველობაში. ჩვეულებრივ გამოყოფენ უმაღლეს, საშუალო და უმდაბლეს სტრატებს. თითოეულ სტრატას აქვს შიდა დაყოფაც, მაგ. უმაღლესი სტრატის საშუალო ფენები, საშუალო სტრატის უმაღლესი ფენები და სხვა. ამ ფენებს შორის საზღვრები მკვეთრი არ არის. დასავლური სოციოლოგია აღიარებს, რომ სოციალური უთანასწორობა ნებისმიერი საზოგადოების გარდუვალი პრობლემაა. ყოველ რთულ საზოგადოებაში არსებობს შრომის დანაწილება და პრესტიჟის იერარქია.

ცნობილი ამერიკელი სოციოლოგის, ინტელიგენციის პრობლემების სპეციალისტის ა. გელას აზრით, ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში ინტელიგენცია იქცა „უსახო და ჭრელ ახალ საშუალო კლასად“, რომელშიც მხოლოდ ნაწილია ნამდვილი ინტელიგენცია — შემოქმედებითი ინტელიგენცია და დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანები. საბჭოთა ინტელიგენციას ყოფენ მაღალ, საშუალო და დაბალ ინტელექტუალებად (სუპერიოკრატები, მედიოკრატები, ინფერიოკრატები). სოციალისტურ და, საერთოდ, ტოტალიტარისტულ საზოგადოებაში ინტელიგენცია ყოველთვის იდევნებოდა და იდევნება. ლიტერატურა, ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები პოლიტიკური კონტროლის მარწუხებშია.

ინტელიგენციაში გამოიყოფიან ისინი, ვინც „ინტეგრალურ როლს“ თამაშობენ — თავიანთ ცოდნას და იდეებს იყენებენ თავიანთ საქმიანობაში, და ისინი, ვინც „ნოვატორულ როლს“ თამაშობენ, ქმნიან ახალ ცოდნას და იდეებს, ახალ ხელოვნებას.

თითქმის ისტორიულ კანონზომიერებად იქცა კონფლიქტი ინტელიგენციასა და ხელისუფლებას შორის. ინტელიგენტები საბოლოოდ ამა თუ იმ იდეოლოგიურ-პოლიტიკურ პოზიციას იკავებენ საზოგადოებაში იმისდა მიხედვით, თუ ვის ინტერესებს და რას ემსახურება მათი ინტელექტუალური პოტენციალი. კლასიკური ინტელიგენციის წარმომადგენლები არიან დისიდენტები.

განსხვავება ინტელიგენციასა და ინტელექტუალებს შორის ის არის, რომ ინტელექტუალები ყველა საზოგადოებას სჭირდება, მაშინ, როდესაც ინტელიგენცია გაჩნდა ფეოდალურ საზოგადოებათა ინდუსტრიალიზაციის პერიოდში. ინტელექტუალად გახდომა არასოდეს ნიშნავდა თავისი კლასობრივი შეგნების ან კლასობრივი მიკუთვნებულობის შეცვლას. ხოლო ინტელიგენცია თავიდანვე გაჩნდა როგორც სოციალური ფენა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინტელიგენტურობა არ არის და არ შეიძლება იყოს მხოლოდ ინტელიგენციისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისება.

ინტელექტუალებს არ უყვართ სტატუს-კვოს დაცვა.

ინტელიგენციის დამახასიათებელია „კრიტიკული სული“. ის არის ის, ვინც ამ ქვეყნად იმისთვის მოვიდა, რომ არ დაეთანხმოს; არა აქვს მნიშვნელობა — რას. მნიშვნელობა იმას აქვს, რომ „არ ეთანხმება“, თავის თავს აუცხოებს არა მხოლოდ დომინირებული კულტურისგან, არამედ სოციალური სტრუქტურისგანაც.

დღეს იქმნება ახალი სოციალური ფენომენი — „მსოფლიო ინტელიგენცია“, კულტურის საფუძველზე გაერთიანებულ განათლებულ ადამიანთა სტრატა, რომლებიც საერთო უნივერსალური მიზნებისთვის ითანამშრომლებენ.

**ნოდარ კერესელიძე**


**გამოიწერეთ ყოველკვირეული გაზეთი**

**„თავისუფალი საქართველო“**

ფასი: 1 თვით — 2 მან. 15 კაპ.

3 თვით — 6 მან. 45 კაპ.

6 თვით — 12 მან. 90 კაპ.

12 თვით — 25 მან. 80 კაპ.


„თავისუფალი საქართველოს“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

**ნოდარ იმნაძის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.


რედაქტორი **მარიკა აბაიშვილი**

სარედაქციო კოლეგია: **ზვიად გამსახურდია, მუხრან მაჭავარიანი, თედო პაატაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, თემურ ქორიძე, ნოდარ წულეისკირი.**

რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა № 14, ტელეფონი 98-81-57

იბეჭდება ოფსეტური წესით ხოშარაულის ქუჩა № 29

ინდექსი 66421

ფასი 50 კაპ.